პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის ქ-ის და ცაკის ორგანო

ხუთშაბათი, 11 თებერვალი 1937 წ. № 34 (4836)

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამანადგურებელი ლახვარი ჩავსცეთ საბჭოთა ხალხის მტრებს — სისხლიანი ტროცკიზმის ნაბოლარებს, ჯაშუშებს, ფაშისტ-დივერსანტებს, სოციალისტური სამშობლოს მოღალატეებს, ხალხის სისხლით მოვაჭრეებს!

სიფხიზლე შემტევი, რევოლუციური, ბოლშევიკური! — ასეთია საქართველოს საბჭოების საგანგებო ყრილობის ერთსულოვანი საბრძოლო მოწოდება.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში

ა. წ. 10 თებერვალს საქართველოს კ.პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში, ამხ. ლ. პ. ბერიას თავმჯდომარეობით, შესდგა საქ. კ.პ. (ბ) საოლქო, საქალაქო და სარაიონო კომიტეტების მდივნების, ამიერ-კავკასიის სამხედრო ოლქის ნაწილების პოლიტორგანოთა უფროსებისა და კომისრების, ამიერ-კავკასიის რკინიგზის განყოფილებათა პოლიტგანყოფილებების უფროსების, საქართველოს ალკკ საოლქო, საქალაქო და სარაიონო კომიტეტების მდივნების თათბირი.

თათბირზე გამოვიდა საქ. კ.პ. (ბ) ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტის და საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. ლ. პ. ბერია.

თავის გამოსვლაში ამხ. ბერიამ გაამახვილა ყურადღება ხალხის მტრებთან — კონტრრევოლუციონერ ტროცკისტ გადაგვარებულებთან, მემარჯვენე გარეწრებთან და მათ ნაციონალისტურ აგენტურასთან ბრძოლაში პარტიული ორგანიზაციების ბოლშევიკური სიფხიზლის გაძლიერების ამოცანაზე და დასვა ამოცანები ორგანიზაციულ - პარტიული და აღმზრდელობითი მუშაობის გაძლიერებისათვის, შინაპარტიული დემოკრატიისა და თვითკრიტიკის შემდგომი გაშლისათვის.

ინდუსტრიული საქართველო

სრულიად საქართველოს საბჭოების საგანგებო VIII ყრილობაზე ჩვენი ორდენოსანი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის, როგორც ყველა სხვა დარგი, ისე მრეწველობაც ბრწყინვალე გამარჯვებებით მოვიდა. მეფისა და მენშევიკების დროს ჩამორჩენილ სასოფლო-სამეურნეო ქვეყნიდან საქართველო მოწინავე ინდუსტრიულ-აგრარულ ქვეყნად იქცა.

საქართველომ მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს, ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით მიაღწია ქვეყნის სოციალისტური სიმდიდრის უდიდეს ზრდას, მშრომელთა მატერიალური და კულტურული დონის უმაგალითო ამაღლებას. ჩვენი ქვეყნის მშრომელთ მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებამ, კომუნისტურმა პარტიამ, დიდმა სტალინმა შეუქმნა შეძლებული, ხალისიანი, საამური ცხოვრება.

1921 წლის 25 თებერვლიდან, სოციალისტური რევოლუციის წითელი დროშის აღმართვის დღიდან, საქართველოს ხალხის ისტორიაში დაიწყო ახალი ერა, ხალხის ადამიანური ცხოვრება.

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს იქცა ნამდვილ მარგალიტად ჩვენი ქვეყანა. ამიტომაც სწერდნენ უსაზღვრო სიყვარულით დიდ მშობლიურ სტალინს საქართველოს მშრომელნი:

მხოლოდ შრომის გამარჯვებამ
ხალხს უსაზღვრო ძალა მისცა,
ათას წლობით დაფარული,
არე-მარე გააღვიძა,
აზრით, საქმით, მისწრაფებით
დავეუფლეთ მთებს და მიწას,
და მას შემდეგ საქართველო
ინდუსტრიის ქვეყნად იქცა.

საბჭოთა ხელისუფლების სახელოვანი არსებობის 16 წლის მანძილზე, განსაკუთრებით უკანასკნელ ხუთ წელში, საქართველო დაიფარა ინდუსტრიის ახალი კერებით. განვითარდა მრეწველობის ახალი დარგები, შეიქმნა სამრეწველო გიგანტები, მომქმედ საწარმოთა მწყობრში ჩადგნენ სხვადასხვა სამრეწველო კომბინატები. 1935 წელში საქართველოს მრეწველობის პროდუქცია, 1913 წელთან შედარებით, 1908 პროცენტით გაიზარდა. 1936 წელში საქართველოს მრეწველობამ გამოუშვა 600 მილიონზე მეტი ღირებულების პროდუქცია. პირველ ხუთწლედში მრეწველობაში კაპიტალური დაბანდება შეადგენდა 700 მილიონ მანეთს. 15 წლის განმავლობაში რეკონსტრუირებული და ახლად აშენებულია 117 სამრეწველო საწარმო.

საბჭოთა ხელისუფლების არსებობის პერიოდში ჩვენს რესპუბლიკაში შეიქმნა მრეწველობის სრულიად ახალი დარგები. მძიმე ინდუსტრიის საწარმოთა რიგებში ჩადგნენ მრეწველობის ისეთი დარგები, როგორიცაა: ფერომარგანეცის გიგანტი ჯუღელში, „ტყვარჩელნახშირი“ აკარმარაში, ბათომის ნავთსახდელი ქარხნები, საქართველოს ნავთი, ჰიდროელსადგურები მტკვარზე, რიონზე, ალაზანზე, მდ. აბაშაზე, აჭარისწყალზე და სხვ. ყველა ესენი პირველი და მეორე სტალინური ხუთწლედის პირმშოებია.

არ გვქონდა ქიმიური მრეწველობა, ახლა კი გვაქვს. არ იყო მანქანათმშენებლობის ქარხნები, ახლა ჩვენში მუშაობენ ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით მოწყობილი საწარმოები. ისინი ამზადებენ რთულ მანქანებს, რომლითაც ვამარაგებთ არა მარტო ჩვენი კავშირის მსუბუქი და კვების მრეწველობის საწარმოებს, არამედ გაგვაქვს უცხოეთის ბაზარზეც. სამთო მრეწველობას შეემატა ახალი დარგები — ბარიტი, გუმბრინი, დიატომიტი, სწარმოებს ოქროს მოპოვება, განვითარდა საშენ მასალათა, სატყეო და ადგილობრივი მრეწველობა.

აღორძინდა მსუბუქი და კვების მრეწველობა. ჩვენს რესპუბლიკაში მუშაობს რამდენიმე ათეული საწარმო, რომელნიც ფართო მოხმარების საგნებს და პროდუქტებს უშვებენ. ჩვენი საფეიქრო, აბრეშუმის, სამკერვალო, ფეხსაცმლის, საკონსერვო, შაქრის, თამბაქოს, ჩაის და სხვა ქარხნები და ფაბრიკები ძირითადად უკვე აკმაყოფილებენ ჩვენი ქვეყნის მშრომელთა მოთხოვნილებებს ფართო მოხმარების და კვების პროდუქტებზე. მრეწველობის ხვედრითმა წონამ ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობაში 71 პროცენტს მიაღწია.

პირველსა და მეორე ხუთწლედში მოპოვებულმა წარმატებებმა შესცვალა ჩვენი ქვეყნის ეკონომიური და გეოგრაფიული რუკა. მასზე აღინიშნა ახალი საბადოები, ახალი სარეწაოები, გიგანტური საწარმოები, სამრეწველო კომბინატები, რკინიგზის ახალი ხაზები, ავტოსაჭაპანო გზები, ახალი ნავსადგურები.

საქართველოს სახალხო მეურნეობის ესოდენ დიდი და ბრწყინვალე წარმატებები, სახალხო მეურნეობის ასეთი სწრაფი აღმავლობა მიღწეულ იქნა მხოლოდ და მხოლოდ ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის სწორად და ურყევად გატარების საფუძველზე. ბოლშევიკური პარტიის შვილის ამხ. ლავრენტი ბერიას სტალინური ხელმძღვანელობით. ჩვენი რესპუბლიკის აყვავების საქმეში უაღრესად დიდი, ისტორიული როლი ამიერ-კავკასიის ფედერაციამ შეასრულა. ამიერ-კავკასიის ერთა მტკიცე კავშირმა და მოძმე რესპუბლიკათა — აზერბეიჯანის, სომხეთის და საქართველოს მშრომელთა თანამშრომლობამ უზრუნველჰყო ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის აყვავება. ასეთია ისტორიული ფაქტი.

ქართველი ხალხის მოსისხლე მტრები, კონტრრევოლუციონერ-ტროცკისტები: ბუდუ მდივანი, ს. ქავთარაძე, ნ. კიკნაძე, ლ. ლოლობერიძე, პ. აღნიაშვილი, მ. ტოროშელიძე, მ. ოკუჯავა, ს. ჩიხლაძე და სხვა არამზადები, ჯაშუშები, დივერსანტები, ქართველი და მთელი საბჭოთა ხალხის სისხლით მოვაჭრენი, ჩვენი დიადი სამშობლოს მოღალატენი, ცდილობდნენ სამარე გაეთხარათ სოციალიზმისათვის, აღედგინათ მემამულეთა და ბურჟუაზიის, სისხლიანი ფაშიზმის ბატონობა. ისინი ყოველგვარი საზიზღარი საშუალებით ცდილობდნენ საქართველოს გამოთიშვას საბჭოთა რესპუბლიკების ძმურ კავშირისაგან და მის დამორჩილებას ევროპის, კერძოთ — ინგლისის იმპერიალიზმისათვის. ეს ვაჟბატონები ნიღაბაგლეჯილი არიან. საქართველოს მთელი ხალხი თვალნათლივ ხედავს ფაშისტურ-ტროცკისტულ გაშიშვლებულ მახინჯ სახეს, რომლის მუშათა კლასის დიქტატურის ქუსლით ჩაღეწვას კატეგორიულად მოითხოვს — და ჩაღეწავს კიდეც! ხალხის მტრები უნდა განადგურდნენ!

საქართველოს საბჭოების საგანგებო VIII ყრილობა აგრეთვე ამ ლოზუნგის ქვეშ მიმდინარეობს.

საქ. ალკკ ც. კ-ის მე-3 პლენუმი

7—9 თებერვალს სახკომსაბჭოს სხდომათა დარბაზში მიმდინარეობდა საქ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის მე-3 პლენუმი.

პლენუმმა მოისმინა საქ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. ა. მგელაძის მოხსენება სოფლად კომკავშირში პროპაგანდისტულ-სააგიტაციო მუშაობის გაუმჯობესების შესახებ და განიხილა საორგანიზაციო საკითხები.

ამხ. ა. მგელაძის შინაარსიანი მოხსენების გარშემო გაიმართა ცხოველი კამათი, რომლის დასასრულ სიტყვით გამოვიდა საქართველოს განათლების სახალხო კომისარი ამხ. ჭყუასელი.

მქუხარე ტაშით და ოვაციებით პლენუმმა მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა ხალხთა ბელადს საბჭოთა ახალგაზრდობის მამას, მასწავლებელსა და საყვარელ მეგობარს დიდ **სტალინს**, საქართველოს და ამიერ-კავკასიის ბოლშევიკების ნაცად ხელმძღვანელს, დიდი სტალინის ერთგულ თანამებრძოლს, ამხ. **ლ. ბერიას** და ამხანაგ **ალ. კოსარევს.**

პლენუმმა დაამტკიცა საქ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიურო შემდეგი შემადგენლობით: ამხ. ვ. ბაქრაძე, აკ. მგელაძე, ს. დგებუაძე, შ. გუდავაძე, პ. ავიცბა, ვ. ფოფხაძე, ბ. ლელინი, ა. ხუჯაძე, ლ. საბახტარაშვილი, შ. ჭანუყვაძე და ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს შემადგენლობაში შეიყვანა ამხ. შ. გუდავაძე.

საქ. ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და ც. კ-ის ბიუროს წევრთა შემადგენლობიდან გამოყვანილ იქნა ბოლშევიკური სიფხიზლის მოდუნების გამო, კ. შენგელია და ცენტრალური კომიტეტის წევრთა შემადგენლობიდან მ. ჩოდრიშვილი.

პლენუმმა დაამტკიცა საქ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის განყოფილებათა გამგეები.

სრულიად საქართველოს საბჭოების საგანგებო VIII ყრილობა



ყრილობის პრეზიდიუმი

ყრილობის მესამე სხდომა

უდიდესი აღფრთოვანებით განაახლა გუშინ საღამოს თავისი მუშაობა საბჭოების სრულიად-საქართველოს საგანგებო მე-8 ყრილობამ, რომელიც მოწოდებულია დაამტკიცოს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუცია.

ყრილობის მესამე სხდომის, გახსნამდე დიდიხნით ადრე რუსთაველის სახ. თეატრის დარბაზში იკრიბებიან დელეგატები — საბჭოთა საქართველოს მშრომელთა რჩეულნი. ესენი არიან ორდენოსანი რესპუბლიკის ქარხნების, ფაბრიკების და შახტების, საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობებისა და სამანქანო-სატრაქტორო სადგურების საუკეთესო ადამიანები., მეცნიერების, ტექნიკის, ხელოვნების გამოჩენილი მუშაკები.

ბევრ მათგანს საბჭოთა კავშირის ორდენები უმშვენებენ მკერდს.

ზოგიერთი მათგანი იყო საბჭოების სრულიად-საკავშირო საგანგებო მე-8 ყრილობის დელეგატი, სოციალისტური სამშობლოს სხვა საუკეთესო ადამიანებთან ერთად ისმენდნენ დიდი **სტალინის** ისტორიულ მოხსენებას. ამტკიცებდნენ ეპოქის დიად დოკუმენტს — სტალინურ კონსტიტუციას.

ბედნიერ ადამიანთა სიმხნე და სიხარული ავსებს დღეს რუსთაველის სახ. თეატრს.

აქ არის ძმური ინტერნაციონალური ოჯახი—ქართველები, აფხაზები, აჭარლები, ოსები, რუსები, სომხები, თურქები—საბჭოთა საქართველოში მცხოვრებ და ლენინურ-სტალინური მეგობრობით შეკავშირებულ ყველა ეროვნების წარმომადგენლები.

დელეგატებმა აქ თავის გულში მოიტანეს მგზნებარე სიყვარული და ერთგულება დიადი სოციალისტური სამშობლოსადმი, ხალხთა საყვარელი ბელადისადმი, სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის შემოქმედისადმი—დიდი **სტალინისადმი.**

ისინი გამსჭვალულნი არიან დაუცხრომელი სიძულვილით ხალხის უბოროტესი მტრებისადმი—ტროცკისტი ჯაშუშებისა, დივერსანტებისა, მავნებლებისა, მკვლელებისა, მოღალატეებისა და სამშობლოს გამცემლებისადმი.

დელეგატები აქ მოვიდნენ ურყევი ნებისყოფით—სტალინური კონსტიტუციის დროშით ახალი ძალით განამტკიცონ ხალხთა ურღვევი მეგობრობა, იბრძოლონ სოციალისტური მშენებლობის ახალი გამარჯვებებისათვის. შეკრებილთა აზრებსა და მისწრაფებას გამოხატავენ იუპიტერების თვალისმომჭრელ შუქში მოელვარე ლოზუნგები:

„გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის ხალხთა სტალინურ მეგობრობას!“

„გაუმარჯოს საკავშირო კომუნისტურ პარტიას (ბოლშევიკებისას)!“

„გავაძლიეროთ რევოლუციური სიფხიზლე! უფრო მტკიცედ შევამჭიდროვოთ რიგები ლენინურ-სტალინური პარტიის გარშემო!“

„სალამი აზერბეიჯანისა და სომხეთის მოძმე რესპუბლიკათა მშრომელთ!“

„ბოლომდე ამოვფხვრათ ტროცკისტ-ზინოვიეველი არამზადები, ფაშისტი მზვერავები, ჯაშუშები, მავნებლები, სამშობლოს მოღალატენი, კაპიტალიზმის რესტავრატორები!“

საღამოს 6 საათისათვის თეატრის დარბაზი სავსეა დელეგატებით. ყრილობას ესწრება ბევრი სტუმარი — თბილისის ფაბრიკებისა და ქარხნების მუშები და მუშა-ქალები. დელეგატებს ხელთ აქვთ საქართველოს სს რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტის ბროშურები.

ცალკე ლოჟაში არიან დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენელნი.

O

6 საათსა და 30 წუთზე იხსნება ფარდა. სცენის სიღრმეში მოჩანს უკვდავი **ლენინის** სილუეტი, მისი საქმის გენიალური განმგრძობის, ხალხთა დიდი ბელადის — ამხანაგ **სტალინის** პორტრეტი.

პრეზიდიუმის მაგიდასთან არიან — ამხანაგები **ლ. ბერია, ფ. მახარაძე, გ. მუსაბეკოვი, ვ. ბაქრაძე, გ. მგალობლიშვილი, ლევანდოვსკი, გ. არუთინოვი, ზ. ლორთქიფანიძე, ვეურქოვი, გ. სტურუა, გობეჩია, გოგლიძე, იარცევი, ჯიჯოევი, თ. ულენტი, ნიორაძე.**

ამხ. მგალობლიშვილი საბჭოების სრულიად საქართველოს საგანგებო მე-8 ყრილობის მესამე სხდომას გახსნილად აცხადებს.

— საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტის შესახებ მოხსენებისათვის სიტყვა ეძლევა ამხ. ფ. მახარაძეს, — ამბობს ამხ. მგალობლიშვილი.

ამხ. მახარაძე, რომელსაც ხანგრძლივი ტაშით ეგებებიან, იწყებს თავის მოხსენებას.

„ღრმა სიყვარულისა და გულწრფელი მადლობის ჩვენს პირველ სიტყვას, — ამბობს ამხ. მახარაძე, — ვუძღვნით იმას, ვისი ხელმძღვანელობით ისტორიული გამარჯვებანი მოიპოვა ლენინის საქმემ, ვინც ჩვენი ქვეყანა მოიყვანა სოციალიზმის დიად გამარჯვებებამდე, ვინც შექმნა ეპოქის უდიადესი დოკუმენტი — განთავისუფლებული კაცობრიობის ქარტია — დიდ სტალინს!

ყრილობა აღფრთოვანებით ეგებება ამ სიტყვებს. გრიალებს მქუხარე ხანგრძლივი ოვაცია. ყრილობა ძლიერი ერთსულოვანი აღფრთოვანებით, ფეხზე ამდგარი მიესალმება ხალხთა დიდ ბელადს, მასწავლებელსა და მამას, კონსტიტუციის შემოქმედს საყვარელ **სტალინს.**

დიდხანს გრიალებს მგზნებარე ოვაცია, რომელიც უერთდება „ინტერნაციონალის“ მძლავრ ხმებს.

დარბაზიდან მოისმის მისალმების შეძახილები: **„ვაშა“, „გაუმარჯოს ჩვენს საყვარელ მამასა და მასწავლებელს ამხანაგ სტალინს!“, „სალამი სოციალიზმის დიადი ქარტიის შემოქმედს — საყვარელ სტალინს!“**

ამხ. მახარაძე დაწვრილებით ლაპარაკობს სოციალიზმის დიად გამარჯვებებზე, რომლებიც ქართველმა ხალხმა მოიპოვა ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით. ეს გამარჯვებანი მიღწეულია ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის საფუძველზე, რუსეთის დიდი ხალხის ძმური დახმარებით, საბჭოთა კავშირის ყველა ხალხთან განუყოფელი მეგობრობით. **ლენინ-სტალინის** პარტიამ, საბჭოთა ხელისუფლებამ სოციალიზმის ყველა მტერთან სასტიკ ბრძოლაში საქართველო, ოდესღაც მეფის თვითმპყრობელობის ყოფილი კოლონია და მენშევიკთა ხროვის სათარეშო ასპარეზი, გადააქცია მოწინავე საბჭოთა რესპუბლიკად, ძლიერი მრეწველობის, კოლმეურნეობების ქვეყნად, აყვავებული კულტურის ქვეყნად. ბოლშევიკურმა პარტიამ, დიდმა **სტალინმა** ქართველი ხალხი მოიყვანეს ბედნიერ, საამურ ცხოვრებამდე, რომლითაც გამსჭვალულია სტალინური კონსტიტუციის, საქართველოს სს რესპუბლიკის ახალი კონსტიტუციის თვითეული მუხლი, თვითეული სტრიქონი.

საბჭოთა საქართველოს მშრომელნი ახალი კონსტიტუციის დროშით, აზერბეიჯანისა და სომხეთის მოძმე რესპუბლიკების მშრომელებთან ერთად, საბჭოთა კავშირის ყველა ხალხთან ერთად, რევოლუციური სიფხიზლის გაძლიერებით, დიდი სტალინის გარშემო უფრო მტკიცედ შემჭიდროვებით, წავლენ კომუნიზმის ახალ გამარჯვებებისაკენ.

ამხ. მახარაძეს ვრცელ მოხსენებას არაერთხელ ტაშით აწყვეტინებენ. და როდესაც ამხ. მახარაძე თავის მოხსენებას ამთავრებს და დღეგრძელობას უსურვებს დიდ **სტალინს,** უმაგალითო აღფრთოვანებული ოვაცია ახალი ძლიერებით განახლდება. მთელი დარბაზი ფეხზე დგება და მხურვალეთ მიესალმება დიდ ბელადს. დარბაზის სიღრმიდან ისმის შეძახილები:

„ვაშა დიდ სტალინს!“

„სალამი მშობლიურ, საყვარელ მამასა და მასწავლებელს ამხანაგ სტალინს!“

ათასობით ადამიანები აიტაცებენ მისალმების შეძახილებს, რომლებიც დარბაზში განუწყვეტლივ გაისმის და რომლებსაც ფარავს დიადი პროლეტარული ჰიმნის ჰანგები. დელეგატები გამოხატავენ მთელი ქართველი ხალხის სიხარულსა და გრძნობებს — სიყვარულისა და ერთგულების გრძნობებს ბოლშევიკური პარტიისადმი, დიდი **სტალინისა** და საბჭოთა მთავრობისადმი, დიადი სოციალისტური სამშობლოსადმი.

O

იწყება კამათი. დელეგატები ღრმად სწვდებიან საქართველოს სს რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტის დეტალებს. მათი გამოსვლები გამსჭვალულია სიამაყის გრძნობით მოპოვებული გამარჯვებებისათვის, სურვილით უფრო ენერგიულად იმუშაონ და აკეთონ საქმე სოციალიზმის საკეთილდღეოდ. დელეგატები განსაკუთრებული სიხარულით ლაპარაკობენ საბჭოთა საქართველოს იმ წარმატებებზე, რომლებიც უკანასკნელ წლებში მოპოვებულია ბოლშევიკური პარტიის ერთგული შვილის, ბრძოლებში გამობრძმედილის, საქართველოსა და ამიერკავკასიის ბოლშევიკთა ნაცადი ხელმძღვანელის — ამხანაგ **ლავრენტი ბერიას** ხელმძღვანელობით.

ყოველი სიტყვა გამსჭვალულია ულრმესი სიძულვილისა და ზიზღის გრძნობით ხალხის საზიზღარ მტერთა შორის უსაზიზღრესებისადმი — ტროცკისტი მახინჯებისადმი — ფაშისტ ჯაშუშებისადმი, დივერსანტებისა, მავნებლებისა და კაპიტალიზმის რესტავრატორებისადმი. ტროცკისტული ცენტრი საქართველოში — არამზადები მდივანი, აღნიაშვილი, ტოროშელიძე, ოკუჯავა და სხვები — ხელჰყოფდნენ ქართველი ხალხისათვის ყველაზე უფრო ძვირფასს: ჩვენი ბელადების სიცოცხლეს. ისინი ცდილობდნენ აღედგინათ კაპიტალიზმი, მათ უნდოდათ მონობისა და კაბალის უღელი დაედგათ ჩვენი ხალხისათვის. მაგრამ მტრები მოიტყუვდნენ, ისინი დაჭერილი არიან მამხილებელი საბუთებით. და, მოითხოვენ რა ხალხის უსაზიზღრეს მტერთა მკაცრად დასჯას, დელეგატები მოუწოდებენ რევოლუციური სიფხიზლის გაათკეცებისაკენ.

ტრიბუნაზე ადის თბილისის საბჭოს თავმჯდომარე ამხ. **ნიორაძე.** იგი ლაპარაკობს ორდენოსანი საქართველოს დედაქალაქის ზრდაზე, ბედნიერი ცხოვრების გაფურჩქვნაზე რესპუბლიკის ყველა კუთხეში.

ყრილობის დელეგატები კვლავ აღფრთოვანებულ ოვაციას მართავენ, როცა ამხ. ნიორაძე ლაპარაკობს ხალხთა საყვარელ ბელადზე მსოფლიოში ყველაზე უფრო დემოკრატიული კონსტიტუციის შემოქმედზე — დიდ **სტალინზე,** ამხანაგ **ლ. ბერიაზე,** რომლის ხელმძღვანელობით საბჭოთა საქართველო გახდა ორდენოსან რესპუბლიკად.

სიტყვა ეძლევა ამხ. **ჯიჯოევს** — სამხრეთ-ოსეთის ცაკის თავმჯდომარეს. იგი ლაპარაკობს ახალ ბედნიერ ცხოვრებაზე, რომელიც მისცა სამხრეთ-ოსეთის ხალხს **ლენინ-სტალინის** პარტიამ.

— საუკუნეების განმავლობაში იტანჯებოდა ოსი ხალხი მეფის მოხელეების, კოლონიზატორების, ქართველი თავადების ექსპლოატაციის უღლის ქვეშ. მენშევიკების ბატონობის დროს მშრომელთა ცხოვრება კიდევ უფრო შავბნელი გახდა. და მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებამ ააღორძინა ოსი ხალხი, წაიყვანა იგი ბედნიერი და სასიხარულო ცხოვრების გზით.

ყრილობა ალტაცებით ეგებება თბილისის ქარხნებისა და ფაბრიკების სტახანოველთა დელეგაციას, რომელიც მოვიდა საქართველოს სს რესპუბლიკის საბჭოების საგანგებო მე-8 ყრილობის მისასალმებლად. დელეგაციის სახელით მისალმებით გამოდის ამხ. **ზაალიშვილი**—სტალინის სახ. ორთქლმავალ-ვაგონ-სარემონტო ქარხნის მუშა.

— ჩვენმა მუშებმა კოლექტიურად განიხილეს საქართველოს სს რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტი. ჩვენ სავსებით ვიწონებთ პროექტს, — აცხადებს ამხ. ზაალიშვილი. ჩვენ ვამაყობთ ჩვენი ორდენოსანი რესპუბლიკის შესანიშნავი გამარჯვებებით, რომლებიც მოპოვებულია ქართველი ხალხის საყვარელი ხელმძღვანელის—ჩვენი **ლავრენტი ბერიას** ხელმძღვანელობით. იმ მონაპოვართ, რომელნიც სტალინურ კონსტიტუციაშია ჩაწერილი, ჩვენ უკანასკნელი სისხლის წვეთამდე დავიცავთ. და ყველა, ვინც ამ მონაპოვართა ხელყოფას გაბედავს, შეუბრალებლად იქნება მოსპობილი, განადგურებული. ჩვენ მოვითხოვთ მკაცრ სასჯელს ტროცკისტული ცენტრის მონაწილეებისათვის საქართველოში — საზიზღარ არამზადების მდივნის, ოკუჯავას, აღნიაშვილის როზენცვეიგისა და სხვებისათვის. ჩვენ სტახანოვური მუშაობით უმოკლეს ვადაში ავინაზღაურებთ იმ ზარალს, რომელიც ტროცკისტმა მავნებლებმა მიაყენეს სოციალისტურ მეურნეობას.

ტრიბუნაზე ადის თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის სტახანოველი ამხ. ოლღა **პატარაია.** იგი ლაპარაკობს ახალ აღფრთოვანებაზე, რომელმაც ფაბრიკის კოლექტივი მოიცვა, მუშებისა და მუშა-ქალების მზადყოფნაზე მკერდით დაიცვან სოციალისტური სამშობლო, დიადი სტალინური კონსტიტუცია.

ერთი-მეორეზე გამოდიან დელეგატები. ამხ. შამარია (გუდაუთის რაიონი), ჯაფარიძე (ასპინძის რაიონი), პოლკოვნიკი ლესელიძე, ი. გვასალია (ზუგდიდის რაიონი) ლაპარაკობენ ახალ ადამიანებზე — სტალინის მიერ გამოწრთობილ ადამიანებზე, რომლებიც იზრდებიან საბჭოთა საქართველოს ქალაქსა და სოფელში, ბედნიერებაზე იცხოვრონ და იმუშაონ დიად სტალინურ ეპოქაში.

ორკესტრის გამამხნევებელ ჰანგებში დარბაზში შემოდის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მესაზღვრეთა ჯარის დელეგაცია. შემოდიან მფრინავები, ტანკისტები, წითელფლოტელები, რომლებიც ფხიზლად იცავენ მუშათა და გლეხთა სოციალისტური სახელმწიფოს წმინდა საზღვრების ხელშეუხებლობას. ყრილობა ფეხზე ამდგარი ესალმება იმათ, ვისაც საბჭოთა ხალხმა მიანდო თავისი მშვიდობიანი შრომის, თავისი ბედნიერი ცხოვრების დაცვა.

საქართველოს სს რესპუბლიკის კონსტიტუცია ოქროს ასოებით ჩაიწერება ქართველი ხალხის ისტორიაში, — ამბობს დელეგაციის სახელით ამხ. **მაისურაძე.** ჩვენ დიდი წარმატებები გვაქვს. მაგრამ ჩვენ არ გვავიწყდება, რომ კაპიტალისტური ქვეყნებით გარშემორტყმული ვართ, რომ საერთაშორისო ფაშიზმი ომს ამზადებს სოციალისტური სამშობლოს წინააღმდეგ. ჩვენ ფხიზლად ვართ! ჩვენი ქვეყანა გაანადგურებს ყოველ მტერს, რომელიც გაბედავს შეეხოს სოციალიზმის მონაპოვრებს, სტალინურ კონსტიტუციას! ჩვენი წითელარმიული „ვაშა“ და სალამი დიდ **სტალინს,** საქართველოსა და ამიერკავკასიის ბოლშევიკთა სტალინურ ხელმძღვანელს — ამხანაგ **ლავრენტი ბერიას!**

დარბაზი ხმამაღალი „ვაშათი“ ეხმაურება ამ სიტყვებს. ყრილობის დელეგატები მებრძოლებთან ერთად გამოხატავენ მზადყოფნას ყოველ წუთს აღსდგნენ და მკერდით დაიცვან ჩვენი სამშობლო. ყრილობა ფეხზე ამდგარი აცილებს დელეგაციას.

O

დღეს, 11 თებერვალს ყრილობის დილის სხდომა გაიხსნება დილის 10 საათზე. გაგრძელდება კამათი ამხ. ფ. მახარაძის მოხსენების გამო.

ლენინის ორდენოსანი რუსთაველის თეატრი, სადაც მიმდინარეობს ყრილობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უდიდესი რუსი პოეტის ა. ს. პუშკინის გარდაცვალების 100 წლისთავის აღნიშვნის შესახებ

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილება

უდიდესი რუსი პოეტის ა. ს. **პუშკინის** გარდაცვალების 100 წლისთავის აღსანიშნავად სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. სახვითი ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმს მოსკოვში მიეკუთვნოს ა. ს. პუშკინის სახელი.
2. ბოლშაია დმიტროვკას ქუჩას ეწოდოს **პუშკინის** ქუჩა.
3. მოსკოვ-მდინარის ნესკუჩნაია სანაპიროს ეწოდოს **პუშკინის** სანაპირო.
4. ოსტანკინოს მოსკოვში ეწოდოს **პუშკინსკოე**.
5. ქ. დეტსკოე სელოს ეწოდოს ქ. **პუშკინი**.
6. დრამის ლენინგრადის სახელმწიფო აკადემიურ თეატრს მიეკუთვნოს ა. ს. **პუშკინის** სახელი.
7. ბირჟის მოედანს ქ. ლენინგრადში ეწოდოს **პუშკინის** მოედანი.

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის
თავმჯდომარე მ. კალინინი.

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის
მდივანი ი. აკულოვი.

მოსკოვი, კრემლი.
1937 წ. 9 თებერვალი.

მოსკოვი—უელენი—მოსკოვი

მოსკოვი, 9 თებერვალი (საქდესი). უამინდობამ რამდენიმე დღით შეაფერხა ცნობილ პოლარულ მფრინავ — ორდენოსნის ამხ. ფარიხის გაფრენა მარშრუტით მოსკოვი-უელენი—მოსკოვი. 9 თებერვალს დილიდან ამინდი საგრძნობლად გამოკეთდა. მიღებულმა მეტეოროლოგიურმა ცნობამ დაადასტურა, რომ ტრასზე ამინდს არა უშავს. ფრენა შეიძლება. ეკიპაჟი: გადაფრენის უფროსი ამხ. ფარიხი, მეორე პილოტი ამხ. პაცინკო, შტურმან-რადისტი ამხ. შტეპენკო (საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს სპეციალური კორესპონდენტი), ბორტ-მექანიკოსები ამხ. ჩაგინი და დემიდოვი, ჩრდილოეთის საზღვაო გზის მთავარი სამმართველოს პოლიტ-სამმართველოს წარმომადგენელი, „პრავდის“ კორესპონდენტი და „სოიუზ კინოქრონიკის“ კინოოპერატორი ემშვიდობებიან ნათესავებსა და მეგობრებს და იკავებენ ადგილებს მანქანაში. 11 საათსა და 37 წუთზე თვითმფრინავი „ნ—120“ სწყდება მიწას. თვითმფრინავი გამოსამშვიდობებლად წრეს აკეთებს აეროდრომზე და გასწევს ჩრდილოეთისაკენ.

ფარიხის თვითმფრინავი ყაზანში

ყაზანი, 9 თებერვალი (საქდესი). დღეს, 15 საათსა და 40 წუთზე, პოლარული მფრინავი, ორდენოსანი ფარიხი თვითმფრინავ „ნ—120“-ით უვნებლად დაეშვა ყაზანის აეროდრომზე, როგორც ამხ. ფარიხმა განაცხადა, ფრენა სწარმოებდა 600-800 მეტრის სიმაღლეზე. მანქანა კარგად მუშაობს. თვითმფრინავის ეკიპაჟს აეროდრომზე გულთბილად შეხვდნენ საკ. კ.პ. (ბ) ოლქკომის და თათართა რესპუბლიკის მთავრობის წევრები, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და პრესის წარმომადგენლები.

ფინეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ბ-ნი ჰოლსტი მოსკოვში

ბ-ნი ჰოლსტი ამხ. მ. ი. კალინინთან

9 თებერვალს ფინეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ბ-ნი ჰოლსტი მიიღო სსრ კავშირის ცაკის თავმჯდომარემ ამხ. მ. ი. კალინინმა. მიღებას დაესწრნენ საგანგებო ელჩი და სრულუფლებიანი მინისტრი ფინეთისა სსრ კავშირში ბარონი ირიე-კოსკინენი და საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე ამხ. ნ. ნ. კრესტინსკი.

○

მინისტრმა და მისმა მხლებელმა პირებმა დაათვალიერეს თოფ-იარაღის პალატა კრემლში.

ბ-ნი ჰოლსტი ამხ. ვ. მ. მოლოტოვთან

ამავე დღეს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ვ. მ. მოლოტოვმა მიიღო ფინეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ბ-ნი ჰოლსტი. მიღებას დაესწრნენ ბარონი ირიე-კოსკინენი, ამხ. ნ. ნ. კრესტინსკი და სსრ კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი ფინეთში ამხ. ე. ა. ასმუსი. ამხ. მოლოტოვმა ბ-ნ ჰოლსტის პატივსაცემად გამართა საუზმე, რომელზედაც ზემოხსენებულ პირთა გარდა იყვნენ ამხანაგები კ. ე. ვოროშილოვი, ლ. მ. კაგანოვიჩი, ვ. ი. ჩუბარი, ა. ი. მიქოიანი, ვ. ი. მეჟლაუკი, ა. პ. როზენგოლცი, ა. ს. ბუბნოვი, ბ. ს. სტომონიაკოვი და სხვ.

დარბაზობა ბარონ ირიე-კოსკინენთან

ამავე დღეს ფინეთის საგანგებო ელჩმა და სრულუფლებიანმა მინისტრმა საბჭოთა კავშირში ბარონმა ირიე-კოსკინენმა მინისტრ ჰოლსტის პატივსაცემად გამართა სადილი. სადილზე იყვნენ: ამხ. ვ. მ. მოლოტოვი, კ. ე. ვოროშილოვი, ა. ი. მიქოიანი, ვ. ი. მეჟლაუკი, ა. პ. როზენგოლცი, ა. ი. ეგოროვი, ნ. ნ. კრესტინსკი, ბ. ს. სტომონიაკოვი, ე. ა. ასმუსი და სხვ.

სადილის შემდეგ გაიმართა დარბაზობა (საქდესი).

ეთნოგრაფიული გუნდების ჩამოსვლა

გუშინ საღამოს სპეციალური მატარებლით მოსკოვიდან თბილისში ჩამოვიდნენ აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს სახელმწიფო ეთნოგრაფიული გუნდები ორდენოსნების სანდრო კავსაძის და კ. პაჭკორიას ხელმძღვანელობით.

როგორც ვიცით, მოსკოვში ქართული ხელოვნების დეკადის დამთავრების შემდეგ გუნდები ლენინგრადს გაემგზავრნენ, სადაც ორი კვირის განმავლობაში 12 კონცერტი გამართეს. უკანასკნელი კონცერტი გაიმართა 4 თებერვალს სპეციალურად ლენინგრადის ხელოვნების მუშაკებისათვის მუსიკ-ჰოლის თეატრში. კონცერტმა დიდძალი ხალხი მოიზიდა. კონცერტის დაწყების წინ გუნდებს მიესალმნენ სხვადასხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები. მისალმებათა შემდეგ ორივე გუნდმა ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის სანდრო კავსაძის ხელმძღვანელობით შეასრულა „ინტერნაციონალი“, რომელსაც მთელი დარბაზი აჰყვა.

— ლენინგრადში,—ამბობს სანდრო კავსაძე, — რასაკვირველია ძალიან ცოტამ იცის ქართული ენა და შეიძლება წარმოშობილიყო შიში, რომ ქართული სიმღერა მთლიანად ვერ მივიდოდა მსმენელამდე. მაგრამ თუ არსებობდა ასეთი შიში, ის ჩვენი პირველი გამოსვლისთანავე გაიფანტა.

ლენინგრადი — საბჭოთა და მსოფლიო მუსიკალური კულტურის უდიდესი ცენტრია. მუშათა აუდიტორიის მუსიკალური დონე აქ ფრიად მაღალია.

ლენინგრადში გამართულმა კონცერტებმა ჩვენ ღრმა სიხარულის და დიდი კმაყოფილების გრძნობით აღგვავსო. ჩვენ გულთბილად მიგვიღეს. ლენინგრადში გამგზავრების წინ ჩვენ გვისმენდა დიდი სტალინი და ეს გვაფრთოვანებს იმისათვის, რომ კიდევ უფრო გავაუმჯობესოთ ჩვენი ხელოვნება, კიდევ უფრო უკეთესად შევასრულოთ ქართველი ხალხის მიერ შექმნილი სიმღერები და ცეკვა.

— მოსკოვში ქართული ხელოვნების დეკადის დამთავრების შემდეგ,—ამბობს დასავლეთ საქართველოს სახელმწიფო ეთნოგრაფიული გუნდის ხელმძღვანელი ორდენოსანი კ. პაჭკორია,—ამხ. ა. ჟდანოვმა პირადად მიგვიწვია ლენინგრადში. 12 დღე დავყავით ჩვენ ლენინის ქალაქში და 12 კონცერტი გავმართეთ. მხურვალე მიღებამ, რომელიც აქ გაგვიმართეს, ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.

კიროვის სახელობის თეატრში გამართულ კონცერტზე ჩვენ გვისმენდნენ ლენინგრადის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ხელმძღვანელები ამხ. ჟდანოვის მეთაურობით, რომელმაც ფრიად მაღალი შეფასება მისცა ქართველი ხალხის ხელოვნებას და კვლავ მიგვიწვია ჩვენ ზაფხულზე ლენინგრადს, რათა კიდევ უფრო ახლოს გავაცნოთ ლენინის ქალაქის მშრომელებს ქართული ხალხური შემოქმედება. ყურადღება და მზრუნველობა, რომელიც ჩვენ გაგვიწიეს, ღრმად გვაღელვებს. ძნელია გამოვძებნოთ სიტყვები, რომ გამოვხატოთ მთელი ჩვენი მადლობა.

ესპანეთის ფრონტებზე

ბილბაო, 9 თებერვალი (საქდესი). ბისკაის ფრონტზე, მარკინის რაიონში, რესპუბლიკის ჯარების რაზმი მოულოდნელად თავს დაესხა მეამბოხეთა რაზმს, რომელიც მიჰყვებოდა სამარი მასალების შემცველ ორ სატვირთო მანქანას. ხანმოკლე ბრძოლის შემდეგ რესპუბლიკელებმა ხელყუმბარებით ააფეთქეს ერთი სატვირთო მანქანა. მოკლულია მრავალი მეამბოხე.

ელორიოს რაიონში რესპუბლიკის ჯარების ერთი ასეული ზურგში მოექცა მოწინააღმდეგეს, დაანგრია წყალსადენი, რომელიც წყალს აწვდიდა მონდრაგონს და უვნებლივ დაბრუნდა თავის პოზიციებზე. რესპუბლიკელთა ჯარების მხარეს გადმოვიდა 15 კაცი სამოქალაქო მოსახლეობიდან და ერთი ჯარისკაცი.

ასტურიის ფრონტზე, ქალაქ გრადოში (ოვიედოს დასავლეთით) გუშინ მთელი დღის განმავლობაში ისმოდა სროლა. საღამოსათვის გამოირკვა, რომ სწარმოებდა ბრძოლა მეამბოხეთა ცალკეულ ნაწილებს შორის. მრავალია მოკლული და დაჭრილი.

მთავრობის ჯარების კონტრიერიში მადრიდის ფრონტზე

ლონდონი, 9 თებერვალი (საქდესი). ნაშუადღევს გამოქვეყნდა მთავრობის ცნობა, რომელშიაც არაფერია ნათქვამი ვალენსიის გზის შესახებ. ცნობაში ნათქვამია, რომ 8 თებერვალს ცენტრალური ფრონტის სამხრეთ უბნებზე მთელი რიგი იერიშების შემდეგ მეამბოხენი შეიჭრნენ ვასიამადრიდში (მადრიდიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით 20 კილომეტრის მანძილზე). მთავრობის ჯარებმა ღამით კვლავ დაიწყეს კონტრიერიში და კვლავ დაიკავეს პოზიციების უმრავლესობა.

გააფთრებული ბრძოლები არანხუესის სექტორში

პარიზი, 9 თებერვალი (საქდესი). ჰავასის სააგენტოს მადრიდელი კორესპონდენტი იუწყება, რომ არანხუესის სექტორში (მადრიდიდან 47 კილომეტრის მანძილზე) ძალიან გააფთრებული ბრძოლები იყო, მეამბოხეები ამ ბრძოლას გერმანიის არმიის მეთოდებით აწარმოებდნენ. მადრიდის გაზეთი „ელ სოლი“ იუწყება, რომ გერმანიის ელჩი ბურგოსში გენერალი ფაუპელი პირადად ხელმძღვანელობდა მეამბოხეთა ოპერაციებს ამ სექტორში.

მეამბოხეთა გააფთრებულმა იერიშებმა მადრიდის ფრონტზე ვერ მოსტეხეს რესპუბლიკური ჯარების საბრძოლო სულიერი განწყობილება. მეამბოხეებმა ვერ შესძლეს ვერც ერთი იმ პუნქტის დაკავება, რომლის აღებასაც შეეძლო გავლენა მოეხდინა მადრიდის დაცვაზე.

რესპუბლიკის ჯარების ევაკუაცია მალაგიდან

ლონდონი, 8 თებერვალი (საქდესი). რეიტერის სააგენტო ალმერიიდან იუწყება:

„უმაღლესი რესპუბლიკური სარდლობის ბრძანების შესაბამისად, რესპუბლიკის ჯარები გავიდნენ მალაგიდან და სრული წესრიგით გადავიდნენ ახალ პოზიციებზე“.

მალაგის აღების დაწვრილებითი ცნობები

ლონდონი, 9 თებერვალი (საქდესი). რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი ალმერიიდან იუწყება, რომ ოპერაციებში მალაგის აღების დროს მეამბოხეთა მხარეზე მონაწილეობას იღებდა 20 ათასი იტალიელი ჯარისკაცი, რამდენიმე ათასი გერმანელი ჯარისკაცი და მაროკოელი. მეამბოხეთა სარდლობამ ბრძოლაში ჩააბა ასზე მეტი იტალიური ტანკი. შეტევას მალაგაზე ხელმძღვანელობდა გერმანიის საზღვაო შტაბი, რომელიც იმყოფებოდა კრეისერ „გრაფ შპეეზე“. მეამბოხეებმა მალაგა გაანადგურეს და გაძარცვეს. მოკლულია მრავალი ასეული კაცი.

ესპანეთის მთავრობის წრეების აზრით, მეამბოხეთა მიერ მალაგის ხელში ჩაგდება სერიოზულ დანაკლისს არ წარმოადგენს. უკვე რამდენიმე თვეა მალაგას არ იყენებდნენ საზღვაო ბაზად. მთავრობის ჯარების მიერ დაკავებული ახალი პოზიციები ამოკლებენ თავდაცვის ხაზს და აადვილებენ თავდაცვას.

მალაგის ხელში ჩაგდების შემდეგ მეამბოხეთა გემებმა ყუმბარები დაუშინეს მოტრილსა და ადრას (მალაგასა და ალმერიას შუა).

„ფრენტე როხო“ ესპანელ ტროცკისტთა პროვოკაციული მუშაობის შესახებ

ვალენსია, 8 თებერვალი (საქდესი). ვალენსიის კომუნისტური გაზეთი „ფრენტე როხო“ აქვეყნებს მოწინავე წერილს, რომელიც ეხება იმას, რომ მადრიდის დაცვის კომიტეტმა აკრძალა ტროცკისტული ფურცლის გამოცემა მადრიდში, აგრეთვე დახურა პოუმის (ესპანელ ტროცკისტთა ორგანიზაცია) რადიომიმღები, რომელიც სხვა არაფერია, თუ არა ფრანკოს რუპორი. გაზეთი აღნიშნავს, რომ მხოლოდ მადრიდის დაცვის კომიტეტისებური მოქმედებით შეიძლება მოვუღოთ ბოლო პოუმის საზიზღარ გალაშქრებას სახალხო ანტიფაშისტური ფრონტისა და კომპარტიის წინააღმდეგ მთელს ესპანეთში. მადრიდის დაცვის კომიტეტმა იკისრა ინიციატივა ამ საქმეში, ვინაიდან შეიგნო, თუ რა დამარღვეველ მუშაობას ასრულებენ ტროცკისტები, რომლებიც ძირს უთხრიან ანტიფაშისტურ ბლოკს. „ანტისაბჭოთა ტროცკისტული ცენტრის მოსკოვის პროცესმა, — აღნიშნავს შემდეგ გაზეთი, — ცხადჰყო, რომ სსრ კავშირში ტროცკის ბანდის ტაქტიკა და მეთოდები, როგორც ორი წვეთი წყალი, ისე ჰგავს პოუმისტთა მუშაობას ესპანეთში... ჩვენ ვიცით, რომ პოუმის რიგებში მოიპოვება მრავალი პატიოსანი, მოტყუებული მუშა, რომლებსაც ჯერ კიდევ ვერ გამოუაშკარავებიათ თავიანთი ლიდერების მორალურ-პოლიტიკური სიდამპლე. ყველა ამ ნამდვილ ანტიფაშისტს საკმაო საფუძველი აქვს ანგარიში მისცეს თავის თავს, თუ რა ჭაობში ჩაითრიეს ისინი და, ზიზღით გამსჭვალულნი როგორ უნდა ამოვიდნენ ამ ჭაობიდან“.

სახალხო ფრონტის გამარჯვება საფრანგეთის მუნიციპალურ არჩევნებში

პარიზი, 9 თებერვალი (საქდესი). სოციალისტური გაზეთი „პოპულერი“ იუწყება, რომ სახალხო ფრონტის კანდიდატი ანრი სალანგრო (ძმა მინისტრ როჟე სალანგროსი, რომელმაც თავი მოიკლა). აირჩიეს ქალაქ ლილის სამხრეთ-დასავლეთ რაიონის მუნიციპალურ მრჩევლად, მან მიიღო 5.421 ხმა წინააღმდეგ 2.171 ხმისა, რომლებიც შეაგროვა ფაშისტების კანდიდატმა. კასელის (ჩრდილოეთის დეპარტამენტი) საარჩევნო ოლქშიც გავიდა სახალხო ფრონტის კანდიდატი, რადიკალ-სოციალისტი ვანდეალი.

თვით ქალაქ კასელში გაიმარჯვა სახალხო ფრონტის კანდიდატმა რეაქციული კანდიდატის წინააღმდეგ, მიიღო რა 340 ხმა, უკანასკნელმა კი შეაგროვა 251 ხმა. უველიანის (ოდის დეპარტამენტი) მუნიციპალურ არჩევნებში ყველა სოციალისტი კანდიდატი აირჩიეს.

შეკითხვა თემთა პალატაში ესპანეთის რეჟიმის შესახებ

ლონდონი, 9 თებერვალი (საქდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, თემთა პალატაში დეპუტატმა რამზაიმ (კონსერვატორი) შეიტანა შეკითხვა: სცნობს თუ არა ბრიტანეთის მთავრობა დადასტურებულად, რომ ესპანეთში არსებული რეჟიმი „წარმოადგენს უმცირესობას“ სახელმწიფოში და ხომ არ ფიქრობს ინგლისის მთავრობა გადასინჯოს თავისი დამოკიდებულება ამ რეჟიმისადმი, როგორც ესპანეთის კანონიერი მთავრობისადმი. საგარეო საქმეთა მინისტრის ამხანაგმა კრენბორნმა განაცხადა, რომ ბრიტანეთის მთავრობის ინფორმაციის თანახმად ესპანეთის ახლანდელი მთავრობა შედგენილია — რამდენიმე მცირე ჯგუფის გამოკლებით — ყველა იმ პარტიის წარმომადგენლებისაგან, რომლებიც შედიან სახალხო ფრონტში, აწ უკანასკნელ არჩევნებში რომ გაიმარჯვა. შეკითხვის მეორე ნაწილზე კრენბორნმა უარყოფითი პასუხი გასცა.

გერმანია-თურქეთის მოლაპარაკება

ანკარა, 9 თებერვალი (საქდესი). „აკშამის“ გადმოცემით, სტამბოლში დამთავრდა მოლაპარაკება გერმანიის გემსაშენ საწარმოთა წარმომადგენლებსა და თურქეთის საზღვაო ტრანსპორტის სამმართველოს შორის იმის შესახებ, რომ გერმანიას გადაეცეს ახალი შეკვეთა შვიდი სამგზავრო გემის აგებისა, გარდა უკვე შეკვეთილი ექვსი გემისა. გუშინ გერმანიის წარმომადგენლები ჩამოვიდნენ ანკარაში, რათა საბოლოო მოლაპარაკება აწარმოონ მეურნეობის სამინისტროსთან.

გადადგა იაპონიის სამხედრო მინისტრი ნაკამურა

ტოკიო, 9 თებერვალი (საქდესი). დომეი ცუსინის სააგენტო იუწყება, რომ ავადმყოფობის გამო გადადგა სამხედრო მინისტრი ნაკამურა. გადადგომა მიღებულია. სამხედრო მინისტრად დაინიშნა იაპონიის არმიის სამხედრო სწავლების გენერალური ინსპექტორი გენერალი სუგიამა (1933 წელს ეკავა იაპონიის გენერალური შტაბის საავიაციო ბიუროს უფროსის თანამდებობა; 1934 წელს ხაიასის სამხედრო მინისტრად ყოფნის დროს იყო გენერალური შტაბის უფროსის მოადგილე და 1936 წელს გადადგა, თებერვლის პუტჩთან დაკავშირებით). საჭიროა აღინიშნოს, რომ პირველი ცნობა ნაკამურას ავადმყოფობის შესახებ 5 თებერვალს გამოქვეყნდა პრესაში.

გაზეთები აღნიშნავდნენ, რომ ნაკამურა „ცოტათია გაციებული, რაც მას ხელს არ შეუშლის აქტიური მონაწილეობა მიიღოს მთავრობის საქმიანობაშიო“. მაგრამ დომეი ცუსინის სააგენტო ემყარება რა მთავრობის წრეებს, დღეს აცხადებს, რომ ნაკამურა ტიფით გახდა ავად.

ამერიკის ინტელიგენციის წარმომადგენლები ამხელენ „ტროცკის დაცვის კომიტეტს“

ნიუ-იორკი, 9 თებერვალი (საქდესი). გამოჩენილმა მწერლებმა და ინტელიგენციის წარმომადგენლებმა გამოაქვეყნეს განცხადება, რომელიც ამხელს „ტროცკის დაცვის ამერიკულ კომიტეტს“. განცხადების ავტორები აღნიშნავენ, რომ კომიტეტი ეწევა ანტისაბჭოთა პროპაგანდას და მოუწოდებს კომიტეტის ლიბერალურ წევრებს შეიტანონ გარკვეულობა ამ საქმეში. განცხადების ავტორები მიუთითებენ, რომ კომიტეტი ტროცკისათვის თავშესაფარის უფლების მინიჭების გამო გამოსვლების საბაბით ფაქტიურად აწარმოებს გაძლიერებულ ანტისაბჭოთა პროპაგანდას. „ტროცკი, — ნათქვამია განცხადებაში,—უშიშრად ცხოვრობს მექსიკაში“, მაგრამ კომიტეტი თავის პუბლიკაციებში გააფთრებით ესხმის თავს საბჭოთა მთავრობას. კომიტეტის წარმომადგენლები მოუწოდებენ შეიარაღებული აჯანყებისაკენ საბჭოთა კავშირში. განცხადების სიტყვით, კომიტეტის მიერ წამოყენებული მოთხოვნა „პროცესის მიუდგომლად გამოძიებისა“ წარმოადგენს „მტრულ პოლიტიკურ ჩარევას საბჭოთა კავშირის შინაურ საქმეებში“. განცხადებაში ავტორები მოუწოდებენ ლიბერალებს გაემიჯნონ ტროცკისტულ გალაშქრებას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. „ჩვენ ვფიქრობთ, — ნათქვამია განცხადების დასასრულს, — რომ საბჭოთა კავშირს ესაჭიროება ლიბერალების მხარდაჭერა ამჟამად, როცა ფაშიზმის ძალებით თანთქვას ემუქრებიან ევროპას“. განცხადების ხელმომწერთა შორის არიან: საგაზეთო ტრესტ სკრიპს-ჰოვარდის თანამშრომელი, ამერიკის შეერთებული შტატების ჟურნალისტების კავშირის თავმჯდომარე ხეივუდ ბრაუნი, მწერალი თეოდორ დრეიზერი, ჟურნალ „ნეიშენის“ რედაქტორები—მაქს ლერნერი და მაქსუელ სტუარტი, „ნიუ-რიპაბლიკის“ რედაქტორი უილიამ მენგოლდი, „ნეიშენის“ კორესპონდენტი ლუი ფიშერი, ხელმძღვანელი წითელი ჯვრის მისიისა რუსეთში ოქტომბრის რევოლუციის დროს რეიმონდ რობინსი და ბევრი სხვა გამოჩენილი პროფესორი, მწერალი, ეკონომისტი, ხელოვნების მოღვაწე და სხვ.

ვ. ვერესაევი

პუშკინის ცხოვრება

ბიოგრაფიული ნარკვევი *

მიხაილოვსკოეში პუშკინი განაგრძობდა „ევგენი ონეგინის“ წერას, რომელიც მან ოდესაში დაიწყო. აქ მან დაამთავრა მესამე თავი, დასწერა მეოთხე და მეხუთე თავები. 1825 წლის დეკემბრის შუა რიცხვებში ორ დილას დასწერა „გრაფი ნულინი“.

1825 წლის 19 ნოემბერს (ძვ. სტილით) მოულოდნელად გარდაიცვალა იმპერატორი ალექსანდრე I. მის მემკვიდრედ ითვლებოდა მისი ძმა კონსტანტინე, მაგრამ დიდი ხანი იყო რაც მან უარი განაცხადა ტახტზე. ამ ამბავს რატომღაც საიდუმლოდ ინახავდნენ. იმპერატორად უნდა გამხდარიყო რიგით შემდეგი ძმა—ნიკოლოზ. ჯარი ჯერ დაფიცეს კონსტანტინეს ერთგულებაზე და ნიკოლოზმაც შეჰფიცა მას; მერე დაიწყეს ნიკოლოზის ერთგულებაზე დაფიცება. ფარული საზოგადოების წევრებმა გადასწყვიტეს ესარგებლნათ მომხდარი გაუგებრობით და სამხედრო გადატრიალების გზით მიეღწიათ თვითმპყრობელობის შეზღუდვისა, ან მისი დამხობისთვისაც კი. მათ ჩააგონეს ჯარებს, კონსტანტინე ძალით არის გადაყენებულიო და 14 დეკემბერს გამოიყვანეს ისინი სენატის მოედანზე ნიკოლოზის წინააღმდეგ. აჯანყება გაანადგურეს ნიკოლოზის ზარბაზნებით.

მეფის გამოცვლამ პუშკინს დიდი იმედები აღუძრა. მან გადასწყვიტა ეშუამდგომლნა თავის განთავისუფლების შესახებ. შეუძლებელი იყო ამაზე მეტად არახელსაყრელი მომენტის შერჩევა შუამდგომლობისათვის. მართალია თვითონ პუშკინი არ ყოფილა ფარული საზოგადოების წევრი, მაგრამ თითქმის ყველა დაპატიმრებულთ აღმოუჩინეს რევოლუციური ლექსები. ყველა ცნობათა მიხედვით მთავრობას ხელთ ჰქონდა საბუთები, რომლითაც სავსებით ცხადი ხდებოდა უდიდესი საგიტაციო როლი პუშკინისა აჯანყების შემზადებაში.

პუშკინისთვის თხოვნაზე პასუხი არ გაუციათ. მოთავდა გამოძიება: ხუთი დეკაბრისტი ჩამოახრჩეს, ასზე მეტი ციმბირს კატორღაში გაგზავნეს. პუშკინს ნაცნობობა ჰქონდა ჩამოხრჩობილთა უმეტესობასთან, იცნობდა ბევრს კატორღაში გაგზავნილს. მათმა სასტიკად დასჯამ შეუძრწუნებელი გავლენა მოახდინა მასზე. „ჩამოხრჩობილნი ჩამოხრჩობილნი არიან, — სწერდა იგი—მაგრამ ასოცი მეგობრის, ძმების, ამხანაგების კატორღა — საშინელებაა“. პუშკინი შემდგომ კიდევ დიდხანს ხატავდა თავის ნაწარმოებთა შავად ნაწერის არეებზე სახრჩობელას ხუთი გვამით და ჩაფიქრებული სწერდა: „მეც შეიძლება ასე დამმართონოდა, როგორც აქ არის...“ „მეც შეიძლება ასე“...

1826 წლის 3 სექტემბერს პუშკინმა საღამო გაატარა ტრიგორსკოეში. საუცხოო დარი იდგა. პუშკინი ძალიან მხიარულად იყო, სეირნობდა ქალიშვილებთან; საღამოს 11 საათზე მათ გააცილეს იგი მიხაილოვსკოეს გზამდე. გათენებისას კი ტრიგორსკოეში მივარდა პუშკინის მოხუცი გამზრდელი არინა როდიონოვნა, თმაგაწეწილი და მტირალი. მან უამბო იქაურებს: ღამით მიხაილოვსკოეში ჩამოვიდა ვიღაც ოფიცერი თუ ჯარისკაცი და პუშკინი სადღაც წაიყვანაო.

პუშკინი ამასობაში მიჰქროდა ტელეგით ფელდეგერთან ერთად მოსკოვს. მგზავრობდნენ დღისითაც და ღამითაც. 8 სექტემბერს ჩავიდნენ მოსკოვს. პუშკინს საშუალება არ მისცეს არც დასვენებისა, არც ტანისამოსის გამოცვლისა, არც გაპარსვისა. სიცივით გათოშილი, ტალახში ამოსვრილი პუშკინი მიიყვანეს პირდაპირ სასახლეში და შეიყვანეს ნიკოლოზის კაბინეტში.

იმპერატორი პუშკინს ძალიან მოწყალედ შეხვდა. მათ გრძელი ლაპარაკი ჰქონდათ. მეფემ ჰკითხა: პუშკინ, მიიღებდი თუ არა მონაწილეობას 14 დეკემბრის ამბებში, პეტერბურგს რომ ყოფილიყავიო.

პუშკინმა გაბედულად უპასუხა:—აუცილებლად, ხელმწიფეო. ყველა ჩემი მეგობარი მონაწილეობდა შეთქმულებაში და მე არ შეიძლება მასში მონაწილეობა არ მიმეღო. ჩემმა აქ არ ყოფნამ გადამარჩინა.

ნიკოლოზმა ჰკითხა: შეიცვალე თუ არა შეხედულებანი, იძლევი თუ არა სიტყვას, რომ სხვანაირად დაიწყებ ფიქრსა და მოქმედებას, თავისუფლება რომ მოგეცესო...

მერე მეფემ შეეკითხა:

— რასა სწერ ახლა?

— თითქმის არაფერს, ცენზურა ძალიან სასტიკია.

— მერე რატომ სწერ ისეთ რასმე, რისი გაშვებაც ცენზურას არ შეუძლია?

— ცენზურა სულ უვნებელ რასმესაც არ უშვებს.

— მაშ კარგი, მე თვითონ ვიქნები შენი ცენზორი. გამომიგზავნე ხოლმე ყველაფერი, რასაც დასწერ.

იმპერატორმა ხელი მოჰკიდა აღელვებულ პუშკინს, გამოიყვანა კაბინეტიდან და მისაღებ ოთახში თავმოყრილ ჯარისკაცებს მიმართა:

— ბატონებო! აი, თქვენ ახალი პუშკინი. ძველი დავივიწყოთ.

მაგრამ ეს მხოლოდ სიტყვები იყო. პუშკინის მთელმა ქცევამ მეფეს ცხადად უჩვენა, რომ პუშკინი არც თუ ისე ახალი გამხდარიყო.

ცხადი იყო, რომ მისგან ვერასოდეს ვერ გამოვიდოდა დერჟავინი, კარამზინი ან ჟუკოვსკი; ცხადი იყო, რომ მეფეს არასოდეს არ შეეძლო მას გულდამშვიდებით დაენდობოდა.

მეფისა და ჟანდარმების მზრუნველობის ქვეშ

პუშკინი გაანთავისუფლეს და იგი მოსკოვში დარჩა. მოსკოვი პუშკინს აღფრთოვანებით შეეგება როდესაც იგი პირველად გამოჩნდა თეატრში, ყველა რიგები მოიცვა გუგუნმა, იმეორებდნენ მის სახელს: ყველას თვალი, დურბინდი მისთვის მიეპყრო, სცენას არავინ უყურებდა. შეკრებულობასა და ბალებში ყველას ყურადღება პუშკინისკენ იყო მიპყრობილი; ქალები გარს ეხვეოდნენ, გამუდმებით ირჩევდნენ საკოტილიონოდ და მაზურკისათვის. დილაობით პუშკინის მისაღები ოთახი სავსე იყო მნახველებით: მას მთელი ქალაქი იცნობდა, ყველას ეინტერესებოდა იგი. ყველაზე გამოჩენილი პირები თავისთვის დიდ პატივად სთვლიდნენ მასთან გაცნობას.

შემდგომი წლები პუშკინმა გაატარა ხან მოსკოვს, ხან პეტერბურგში. იგი თავით ფეხთამდე ჩაეფლო დიდი ქალაქის სიამოვნება—გართობაში. მიუხედავად ამისა, ბევრს მუშაობდა. ზედიზედ, მიყოლებით სწერდა „ევგენი ონეგინის“ თავებს. 1828 წლის თოვლჭყაპიან შემოდგომის ორ-სამ კვირაში პუშკინმა დასწერა მთელი „პოლტავა“. იგი მას სწერდა მართლაც „აღსავსე ბგერებითა და მღელვარებით“. სწერდა მთელი დღეების განმავლობაში შეუწყვეტლად. ლექსები აწუხებდა მას სიზმრადაც კი. ხშირად იგი წამოხტებოდა ღამით და ბნელაში იწერდა ამ ლექსებს, რისიც ლექსად ჩამოყალიბებას ვერ ასწრებდა, პროზით ჩაიწერდა ხოლმე. მაგრამ მერე გულმოდგინედ ამუშავებდა ყველაფერს, შლიდა, ხელახლა სწერდა და ხელახლა შლიდა. საერთოდ პუშკინი თავის ნაწარმოებებზე ძალიან ბევრს მუშაობდა. მისი შავად ნაწერები სავსეა ერთმანეთში ახორხლილი სიტყვებით, სტრიქონებით, წაშლილებით, აღდგენილით, ასე რომ ნამდვილი ქსოვილი გეგონებათ.

გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ პუშკინს მეფისა და მთავრობის მიმართ ისე ეჭირა თავი, რომ საყვედური არაფრისთვის ეთქმოდა.

რანაირიც უნდა ყოფილიყო იმ დროს პუშკინის ნამდვილი დამოკიდებულება თვითმპყრობელობასთან, იგი სრულიად არავითარ საბაბს არ იძლეოდა იმისათვის, რომ მის პოლიტიკურ კეთილსაიმედობაში ეჭვი შეეტანათ. მიუხედავად ამისა, ნიკოლოზ კვლავ უდიდესი უნდობლობით ეპყრობოდა მას. ის „მოწყალებანი“, რომელთაც პუშკინისადმი იჩენდა იმპერატორი, ნამდვილად ისეთნი იყვნენ, რომ ფაქტიურად ართმევდნენ მას იმ უფლებებსაც, რომლებიც თითქოს ყოველ მოქალაქეს ჰქონდა.

პუშკინსა და მეფეს შორის შუამავალი იყო ჟანდარმის გენერალი ბენკენდორფი, მისი უდიდებულესობის საკუთარი კანცელარიის ცნობილი „მესამე განყოფილების“ უფროსი, მეფის ყველაზე მეტად ახლობელი ადამიანი, მოსკოვში პუშკინმა მეგობართა წრეში წაიკითხა „ბორის გოდუნოვი“. ბენკენდორფმა მყისვე მიუთითა პუშკინს: მეფის მიერ წინასწარ განუხილველად უფლება არა გაქვთ რაიმე გზით „გაავრცელოთ“ თქვენი ნაწარმოებნიო. გამოდიოდა, რომ პუშკინს, რომელიც ვითომ სხვებთან შედარებით პრივილეგიურ მდგომარეობაში იყო ჩაყენებული, უფლება არა ჰქონდა წინასწარი ნებართვის გარეშე თავისი ნაწარმოები, წაეკითხა თავისი მეგობრებისთვისაც კი!

როდესაც პუშკინმა „ბორის გოდუნოვის“ დაბეჭდვა გადასწყვიტა, თავისი პიესა მან საცენზუროდ გაუგზავნა იმპერატორს. მალე მან ბენკენდორფისაგან მიიღო ცნობა, იმპერატორმა დიდი სიამოვნებით წაიკითხა პიესა და მის შესახებ მოხსენებით ბარათს დააწერა: „მე ვფიქრობ, ბ-ნ პუშკინის მიზანი მიღწეული იქნება, მან რომ საჭირო განწმენდით თავისი კომედია გადააკეთოს ისტორიულ მოთხრობად ან რომანად ვალტერსკოტის მსგავსადო“. უმეცარი იმპერატორი ურჩევდა პოეტს ძირფესვიანად გადაემუშავებინა თავისი გენიალური ნაწარმოები მისი მითითებების მიხედვით. ამ სულელური რეკომენდაციის მთელ კომიზმს ჯეროვნად მაშინ შევაფასებთ, თუ გავიხსენებთ, რომ „ბორის გოდუნოვის“ წერის დროს პუშკინის მთავარი მიზანი იყო სწორედ ღრმა რეფორმა ჩვენი თეატრისა. პუშკინმა მწარე ირონიით უპასუხა ბენკენდორფს: „თანახმა ვარ, რომ ჩემი ისტორიული პოემა უფრო ჩამოჰგავს ისტორიულ რომანს, ვიდრე ტრაგედიას, როგორც ეს იმპერატორმა ინება შეენიშნა. ვწუხვარ, რომ მე ძალღონე არ შემწევს გადავაკეთო ერთხელ უკვე დაწერილიო“.

ასე დაიწყო ჟანდარმისა და მისი ავზნიანი მბრძანებლის მეურვეობა გენიალური პოეტის მიმართ, მეურვეობა, რომელიც პუშკინის მთელი სიცოცხლის განმავლობაში გრძელდებოდა. მეთვალყურეობის ქვეშ იყო არა თუ მისი სალიტერატურო საქმიანობა, არამედ მისი ცხოვრების ყოველი ნაბიჯი.

ორ ოფიცერს უპოვნეს ცენზურისგან აკრძალული ნაწყვეტები ლექსისა „ანდრე შენიე“, სათაურით—„14 დეკემბერი“. პასუხისგებაში ჩაითრიეს პუშკინიც და იგი რამდენიმეჯერ დაჰკითხეს. საქმე ორ წელიწადს გაჭიანურდა. პუშკინმა, ბოლოს, მოახერხა დაემტკიცებინა, რომ ნაწყვეტს არავითარი დამოკიდებულება არა აქვს დეკემბრის ამბებთან და დაწერილია 14 დეკემბრის ბევრად უფრო ადრე. ამის შედეგი ის იყო, რომ მას უსასტიკესად აუკრძალეს „საზოგადოებაში გამოეშვა“ თავისი თხზულებები ცენზურის წინასწარი ნებართვის გარეშე, ხოლო თვითონ მას მიუჩინეს პოლიციის საიდუმლო ზედამხედველობა.

ჯერ ეს არ მოთავებულიყო რომ პუშკინის წინააღმდეგ აღიძრა ახალი საქმე, ამაზე უფრო სერიოზული. მთავრობამდის მიაღწია პუშკინის მიერ ჯერ კიდევ კიშინოვს დაწერილმა ანტირელიგიურმა პოემამ „გავრილიადამ“, რომელშიც საცინლად იყო აგდებული სახარების ლეგენდა მარიამის მიერ ქრისტეს უბიწოდ ჩასახვის შესახებ. ამნაირი ღვთისგმობისთვის პუშკინი შეიძლებოდა სამუდამოდ დაემწყვდიათ რომელიმე ყველაზე საშინელი მონასტრის საპყრობილეში. მრავალგზისი დაკითხვების დროს პუშკინი შეუპოვრად უარჰყოფდა თავის ავტორობას, მაგრამ გულში ძალიან დიდ შეშფოთებას განიცდიდა. მისი ლექსი „წინათგრძნობა“ გვიჩვენებს, თუ რა ძლიერ მოეღალნა პუშკინი განუწყვეტელ დევნას:

Снова тучи надо мною
Собралися в тишине;
Рок завистливый бедою
Угрожает снова мне...
Сохраню ль к судьбе презренье?
Понесу ль навстречу ей,
Непреклонность и терпенье
Гордой юности моей?
Бурной жизнью утомленный,
Равнодушно бури жду...

ბოლოსდაბოლოს, ჯერ სავსებით გაურკვეველი მიზეზების გამო, ეს საქმე ძიებით მოსპობილ იქმნა.

კავკასიას მგზავრობა

ოციანი წლების დამლევს პუშკინის მეგობრებმა შეამჩნიეს, რომ პუშკინს როგორღაც ხასიათი შეეცვალა. იგი უფრო ნაკლები ხალისით გამოდიოდა საზოგადოებაში, გაუჩნდა მოთხოვნილება საკუთარი კუთხის აღჩენისა, ოჯახური ცხოვრებისა.

1828 წელს პუშკინმა გაიცნო მოსკოვის ერთერთ ბალზე თექვსმეტი წლის ნატალია ნიკოლაევნა გონჩაროვა. ეს იყო ფუქსავატი მოსკოველი ქალიშვილი. მთელი მისი განათლება ის იყო, რომ კარგად ლაპარაკობდა ფრანგულად და მშვენივრად ცეკვავდა. მაგრამ საოცრად ლამაზი კი იყო. პუშკინს შეუყვარდა იგი, გაიცნო მისი მშობლები, დაიწყო გონჩაროვებთან სიარული. ამბობენ, იმ დროს ნატალია გონჩაროვას პუშკინისა სულ არა წაეკითხნა რა და საერთოდ მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში პოეზიისადმი ღრმად გულგრილი იყოვო. არავითარი სულიერი ურთიერთობა მასთან პუშკინს არ შეეძლო ჰქონოდა, იგი უმზერდა მას, „ღვთისმოსავივით კრძალვით იდგა ღვთაებრივი სილამაზის წინაშე“, იწვოდა სიყვარულით, მაგრამ გრძნობდა, რომ ქალწული გონჩაროვა მისდამი გულგრილი იყო, გრძნობდა, რომ მას არ შეეძლო ქალი რითიმე გეტაცნა და დაეინტერესებინა. პუშკინი მასთან მორცხვი, მორიდებული იყო, როგორც პირველად შეყვარებული ახალგაზრდა ბიჭი. საერთოდ გონჩაროვების ოჯახში იგი სიცივესა და უხერხულობას გრძნობდა. სიდედრს ნატალია ივანოვნას პუშკინი არ მოსწონდა. მიუხედავად ყველაფერ ამისა, პუშკინმა 1829 წლის დამლევს სთხოვა ცოლობა ნატალია გონჩაროვას. აშკარა უარი არ უთქვამთ, მაგრამ უპასუხეს—ნატაშა ჯერ ახალგაზრდაა, უნდა მოვიცადოთ და მერე ვნახოთო.

იმავე ღამეს პუშკინი გაემგზავრა კავკასიაში, მოქმედ ჯარში.

იმ დროს რუსეთი ეომებოდა ოსმალეთს. კავკასიის ფრონტზე მთავარსარდალი პასკევიჩი შეიჭრა ოსმალეთის ფარგლებში და დაიწყო შეტევა არზრუმის ციხესიმაგრეზე. მის არმიაში ნიჟეგოროდსკის დრაგუნთა პოლკის უფროსად მსახურობდა პუშკინის ძველი მეგობარი ნიკ. ნიკ.-ძე რაევსკი — უმცროსი, ხოლო რაევსკის ადიუტანტად იყო პუშკინის უმცროსი ძმა ლევი. მაისის დამლევს პუშკინი ჩავიდა თბილისს, დაჰყო იქ ორი კვირა და მერე წავიდა ჯარის დასაწევად. დაეწია, წარუდგა პასკევიჩს და რაევსკის კარავში დასახლდა.

ბანაკური ცხოვრება ძალიან მოეწონა პუშკინს.

„ზარბაზნის ხმა — გვიამბობს იგი — გვაღვიძებდა ხოლმე განთიადზე. ძილი კარავში საოცრად ჯანმრთელია. სადილად აზიურ მწვადს დავაყოლებდით ხოლმე ინგლისურ ლუდს და შამპანურს, გაციებულს თავრიდის თოვლში“.

პუშკინი დასეირნობდა ყაზახური ცხენით, ხელში მათრახი ეჭირა. სამხედროთა შორის სამოქალაქო ტანისამოსში, შავ სერთუკში გამოწყობილი ცილინდრიანი კაცი ძალიან არაჩვეულებრივი სანახავი იყო. ჯარისკაცებს პუშკინი გერმანელი ხუცესი ეგონათ.

არმიამ მიაღწია არზრუმს და 1829 წლის 27 ივნისს აიღო იგი ისე, რომ სრულიად არავითარი წინააღმდეგობა არ შეხვედრია. ამას ხელი არ შეუშლია პასკევიჩისთვის ქალაქის აღება წარმოედგინა, როგორც უდიდესი გამარჯვება. პუშკინმა დაჰყო არზრუმში სამ კვირაზე მეტ ხანს. ამ დროს ქალაქში გაჩნდა შავი ჭირი. პუშკინმა გადასწყვიტა წამოსვლა. პასკევიჩი აკავებდა მას, წინადადებას აძლევდა შემდგომი საქმეების მოწმე გამხდარიყო. მაგრამ, როგორც სჩანს, პუშკინისთვის სავსებით აშკარა იყო ამ საქმიანობის ხასიათი, იგი გამოესალმა პასკევიჩს და რუსეთისკენ გამოსწია.

რაც უფრო ვაჟკაცდებოდა პუშკინის შემოქმედება, რაც უფრო წინ მიდიოდა იგი, მით უფრო ნაკლებად ესმოდა იგი კრიტიკას და მით უფრო ცივად ეპყრობოდნენ მას მკითხველები.

საზოგადოება „პოლტავას“ ცივად შეხვდა. „სევერნაია პჩელა“, ბულგარინის ორგანო, გაბოროტებული სწერდა: „საზოგადოების მიერ „პოლტავის“ გულცივად მიღება იმის აშკარა საბუთია, რომ სახელთა მოხიბლველობა გაჰქრაო“.

გულგრილად შეხვდნენ „ბორის გოდუნოვსაც“, რომელიც როგორც იქნა, დაიბეჭდა 1830 წელს. მასზე სწერდნენ: „პოეზია არის შემოქმედება; აქ კი არცერთი ორიგინალური ქმნილება არ არის. ბორისი და შუისკი მხოლოდ ლექსად არიან გადაღებულნი კარამზინის მღერადი პროზიდანო“. „ევგენი ონეგინის“ მეშვიდე თავზე, რომელიც ამ რომანის საუკეთესო ადგილს წარმოადგენს, აცხადებდნენ: „სრული დაცემულობის ნიშანიაო“.

პუშკინი მაგრად ჩაიკეტა გულცივ და დუმილით აღსავსე მარტოობაში და სწერდა:

Поэт, не дорожи любовью народной.
Восторженных похвал пройдет минутный шум;
Услышишь суд глупца и смех толпы холодной,
Но ты останься тверд, спокоен и угрюм.

გარდატეხა პუშკინის საზოგადოებრივ მსოფლმხედველობაში, რომელიც ჯერ კიდევ დეკემბრის აჯანყებამდე დაიწყო დროის განმავლობაში უფროდაუფრო ძლიერდებოდა.

მას წინანდებურად მწარედ სტკიოდა გული კატორღაში გაგზავნილი დეკაბრისტებისთვის. იგი არ ჰკარგავდა იმედს, რომ მათ შეიწყალებდნენ. ციმბირში პუშკინმა მათ გაუგზავნა მხურვალე სალამი და წინასწარმეტყველებდა სასურველი ხანის დადგომას:

ბორკილის მტვრევა ჩვენ მოგვიხდება,
დაირღვევიან ციხის კარები,
თავისუფლება წინ დაგიხვდებათ
და ძმები მახვილს ჩაგაბარებენ.

იგი თავის თავს სახავდა მგოსან არიონად, რომელიც გადარჩენილა ზღვაზე დაღუპვას:

Погиб и кормщик, и пловец —
Лишь я, таинственный певец,
На берег выброшен грозою,
Я гимны прежние пою
И ризу влажную мою
Сушу на солнце под скалою.

მაგრამ „ძველებური ჰიმნებისთვის“ მას უკვე აღარ ჰქონდა საჭირო რწმენა; დეკაბრისტების საქმე მას სამუდამოდ წაგებულად მიაჩნდა.

მოსკოვსა და ბოლდინოში

1830 წლის გაზაფხულზე პუშკინის ერთერთმა ნაცნობმა ბალში ნატალია გონჩაროვასა და მის დედასთან ლაპარაკი ჩამოაგდო პუშკინზე. ქალიშვილმა და დედამ კეთილად გაიხსენეს პუშკინი და მოსაუბრეს მასთან მოკითხვა დააბარეს. პუშკინი სულიერად გამოცოცხლდა, სწრაფად მოემზადა და მოსკოვისაკენ გაეშურა. მან ინახულა გონჩაროვები. იგი ალერსიანად მიიღეს. მან ხელახლა დაიწყო მათსა სიარული და 6 აპრილს ხელახლა მისცა წინადადება ნატალია გონჩაროვას ცოლად გაყოლისა.

პუშკინის წინადადება იმხანად უკვე შეიწყნარეს.

1830 წლის 6 მაისს პუშკინი ოფიციალურად დაინიშნა ნატალია გონჩაროვაზე. პუშკინის მამამ ამ ქორწინების გამო ნიჟნინოვგოროდის მამულებიდან გამოუყო სოფ. კისტენევოს ორასი „სული“ დაუგირავებელი გლეხი (ყმა). შემოდგომის დამდეგს პუშკინი გაემგზავრა ნიჟნინოვგოროდის გუბერნიაში, რათა მამულის მფლობელობაში შესულიყო და თავისი ქონებრივი საქმეები მოეგვარებინა. იგი ძალიან ცოტა ხანს აპირებდა იქ დარჩენას. მაგრამ ამასობაში ვოლგაზე გაჩნდა და აღმა მხრისაკენ მიიწევდა ხოლერა. მოსკოვიდან მეორე სადგურზე პუშკინმა შეიტყო, რომ ხოლერას უკვე ნიჟნინოვგოროდამდე მიეღწია. როდესაც იგი ბოლდინოს ჩავიდა (მამის მამულში) მეზობელი სოფლები უკვე დარაჯებით იყვნენ გარშემორტყმული. ყველგან კარანტინები იყო შემოღებული. ხალხი დრტვინავდა და აქა-იქ ამბოხებები ხდებოდა.

კვირა კვირას მისდევდა, თვეები თვეებს, პუშკინი კი ისევ ბოლდინოში იჯდა. ხოლერა გაძლიერდა, მიუახლოვდა მოსკოვს, კარანტინებით იყო მოფენილი გზები, მოსკოვს სამხედრო კორდონები ერტყა გარს, ამბობდნენ, ხოლერა თვითონ მოსკოვშიაც შეიჭრაო. პუშკინს ძალიან აწუხებდა თავისი საცოლეს ბედი, მისი ჯანმრთელობის და უშიშროების ამბავი. გარდა ამისა, მასთან მიაღწია ხმებმა, ქორწინება იშლება, ნატალია გონჩაროვა სხვაზე თხოვდებაო. იგი ძალუმად მიიწევდა მოსკოვისკენ, ორჯერ წამოვიდა მოსკოვს. მას იმედი ჰქონდა, რომ კარანტინებს გადურჩებოდა, მაგრამ ორივეჯერ უკან დააბრუნეს.

იმ შემოდგომას, რომელიც პუშკინმა ბოლდინოში გაატარა, მისი შემოქმედებითი ალმავლობა არაჩვეულებრივი იყო. სამი თვის განმავლობაში მან დასწერა „პატარა ტრაგედიები“, „სახლი კოლომნაში“, ბელკინის მოთხრობები, „ევგენი ონეგინის“ ორი უკანასკნელი თავი, დაახლოვებით ოცდაათი ლირიკული ლექსი. „შვილიერობის შემოდგომა“ იყოვო, ამბობდა პუშკინი.

საოცარია არა მარტო რაოდენობა და მაღალი ღირსება იმ დროს პუშკინის დაწერილისა, არამედ ის სიადვილე, რომლითაც იგი ერთი სულისკვეთებიდან მეორეზე, სულ სხვა სულისკვეთებაზე გადადიოდა. გამხიარულ-მხიარულ მოთხრობებს, როგორიცაა „ბარიშნია-კრესტიანკა“, „მეტელ“, „დომიკ ვ კოლომნე“, სცვლიდა ღრმად სერიოზული დრამები, როგორიცაა „ძუნწი რაინდი“, „მოცარტი და სალიერი“, „ლხინი ჭირიანობის დროს“. ამ შემოდგომის ლირიკა აღსავსეა ფრიად მრავალფეროვანი, სულ ერთმანეთის საწინააღმდეგო სულისკვეთებით.

---

*) იხ. „კომუნისტი“ 9-10 თებერვლის ნომერი.

აღვზარდოთ მუშსოფლკორები!

(ოთხი გაზეთის მაგალითი)

მუშსოფლკორთა ხელმძღვანელობა და მათ შორის აღმზრდელობითი მუშაობა რაიონული გაზეთების ღირსების საქმეა. მუშსოფლკორებთან მუშაობა მათი სწორი აღრიცხვით იწყება. ამიტომ გაზეთის რედაქციას უპირველეს ყოვლისა უნდა ჰქონდეს მუშსოფლკორთა ზუსტი აღრიცხვა.

როგორც მუშსოფლკორების აღრიცხვას, ისე მათ შორის აღმზრდელობით მუშაობას თვითონ რედაქტორები უნდა ხელმძღვანელობდნენ.

მუშსოფლკორთა აღზრდის მიზნით გაზეთების რედაქტორები სისტემატურად უნდა აწყობდნენ მოკლევადიან სემინარებს, კონსულტაციებს, თათბირებს და სხვ. კონსულტაციები და თათბირები შეიძლება მოეწყოს მუშსოფლკორთა ამოცანების შესახებ მიმდინარე პოლიტიკურ საკითხებთან დაკავშირებით, ხოლო სემინარისათვის რაიგაზეთის რედაქტორმა წინასწარ უნდა შეიმუშაოს პროგრამა.

პროგრამაში გათვალისწინებული უნდა იქნას მუშსოფლკორული და საკედლისგაზეთო მუშაობის საკითხები. მაგალითად: მუშსოფლკორი და კედლის გაზეთი, კედლის გაზეთის გეგმიანობა, მისი ტექნიკური გაფორმება, საგაზეთო მასალის წერის ტექნიკა, კლასობრივი სიფხიზლე და სხვ.

რაიგაზეთების რედაქტორებმა ისე უნდა გაშალონ აღმზრდელობითი მუშაობა მუშსოფლკორებს შორის, რომ გაზეთი უზრუნველყოფილ იქნას ფართო მასების მონაწილეობით. უამისოდ ბოლშევიკური პრესის ნაყოფიერი მუშაობა შეუძლებელია.

* * *

მუშსოფლკორთა აღრიცხვა და მათ შორის აღმზრდელობითი მუშაობა შედარებით უკეთესად დაყენებულია ჭიათურის რაიონში. ეს იმითაც აიხსნება, რომ მუშსოფლკორებთან მუშაობას მტკიცედ ხელმძღვანელობენ პარტიის რაიკომი და რაიგაზეთის რედაქცია.

„ჭიათურის მაღაროელის“ რედაქციამ ამ უახლოეს ხანში ორი სემინარი მოაწყო: მაღაროებში — მუშკორთათვის და სოფ. საჩხერეში — სოფლკორთათვის. პარალელურად რედაქციის პასუხისმგებელი მუშაკები სისტემატურად მართავენ მუშსოფლკორთა თათბირებს და კონსულტაციებს. გარდა ამისა, გაზეთის ფურცლებზე მუშსოფლკორთათვის იბეჭდება დამხმარე წერილები. სუსტი წერილების ავტორებს რედაქცია აძლევს საჭირო ახსნა-განმარტებას.

აღმზრდელობითი მუშაობის კარგ მაგალითს იძლევა „დამკვრელი კოლმეურნის“ რედაქცია (ლანჩხუთი).

მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ზოგჯერ მუშსოფლკორთა შენიშვნებზე გამოხმაურებაში ვხვდებით ფორმალურ ბიუროკრატიულ დამოკიდებულებას როგორც ჭიათურის, ისე ლანჩხუთის რაიგაზეთების მხრივ. ამას ადასტურებს სოფლკორ იპოლიტე იაკობაშვილის (არგვეთის სასოფლო საბჭო) განცხადება: „ჩემი წერილი, რომელიც არგვეთის არასრულ საშუალო სკოლას შეეხებოდა, „ჭიათურის მაღაროელის“ რედაქციამ გამოსარკვევად და ზომების მისაღებად გადაუგზავნა განათლების განყოფილებას და მე კი მაცნობა, შედეგებზე პასუხს მიიღებთო. ეს იყო ერთი თვის წინათ, მაგრამ პასუხი ჯერაც არ მიმიღია.

„დამკვრელი კოლმეურნის“ რედაქციამ 1936 წლის განმავლობაში განათლების განყოფილებას და რაიმიწგანს შესამოწმებლად გაუგზავნა: პირველს — 19 წერილი და მეორეს — 18, ხოლო პასუხი მიიღო: განათლების განყოფილებისაგან — მხოლოდ 5 წერილზე და მიწგანისაგან — 8-ზე.

ეს ფაქტები მოწმობს მშრომელთა წერილებისადმი ბიუროკრატიულ დამოკიდებულებას ჭიათურის და ლანჩხუთის ზოგიერთი ორგანიზაციის მხრივ. ასეთ შემთხვევებში რედაქციებმა უნდა მოაწყონ მუშსოფლკორთა რეიდები და სააშკარაოზე გამოიტანონ ბიუროკრატიზმის კონკრეტული ფაქტები.

წერილების შედეგიანობის საქმე სათანადო სიმაღლეზე ვერ დგას გაზეთ „ლენინის დროშით“ რედაქციაშიც (მახარაძის რაიონი).

რედაქცია მოვალეა ბოლომდე მისდიოს თვითეულ შენიშვნას, რომელიც გამოსარკვევად და ზომების მისაღებად ეგზავნება ამათუიმ ორგანიზაციას.

მუშსოფლკორთა აღზრდის საკითხები მივიწყებულ უბანს წარმოადგენს „ბრძოლის დროშის“ (ჩოხატაური) რედაქციაში. რედაქციას აღრიცხვაზე ჰყავს სულ 22 კაცი, აქედან აქტიურია მხოლოდ 4. არა სჩანს გამოსარკვევად გადაგზავნილი წერილების შედეგები. შემოსული წერილების აღრიცხვა წესიერად ვერ არის დაყენებული. არაა მოწყობილი მუშსოფლკორთა სემინარები, კონსულტაციები. ეს მოწმობს უპასუხისმგებლო დამოკიდებულებას მუშსოფლკორთა შორის მუშაობისადმი.

უკრაინის სს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის სხდომა მიძღვნილი ა. ს. პუშკინის გარდაცვალების ასი წლისთავისადმი

კიევი, 9 თებერვალი (საქდესი). 9 თებერვალს გაიმართა უკრაინის სს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის საზეიმო სხდომა მიძღვნილი უდიდესი რუსი პოეტის ა. ს. პუშკინის გარდაცვალების 100 წლისთავისადმი. შესავალი სიტყვა წარმოსთქვა უკრაინის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა — აკადემიკოსმა ბოგომოლეცმა.

პროფესორმა ბელეცკიმ წაიკითხა მოხსენება გენიალური პოეტის შემოქმედებაზე და მის მნიშვნელობაზე ჩვენი სოციალისტური კულტურისათვის.

აკადემიის ფოიეში გაიხსნა პუშკინის დიდი გამოფენა.

აწჰესის ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა გამოცდა

ბათუმი, 9 თებერვალი (საქდესი). დამთავრდა აწჰესის გენერალურ გამოცდათა პირველი ეტაპი. გამოცდილია მთელი ჰიდროტექნიკური ნაგებობანი.

ამჟამად აწჰესში სწარმოებს აგრეგატთა ყველაზე პასუხსაგებ ნაწილების დათვალიერება გენერატორების მოსამზადებლად ხანგრძლივი გაშრობისათვის. 15 — 20 დღის შემდეგ მახუნცეთი პირველ დენს მიიღებს.

ბოტანიკურ ბაღში

მეცნიერ - ტექნიკოსი ქ. ხიდეშელი და ასპირანტი გ. ნაცვლიშვილი ამოწმებენ ციტრუსოვან მცენარეებს.

ფოტო კადეტოვის („სოიუზფოტოს“ საქ. განყ.)

ყარაია წინ მიდის

(„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტისაგან)

რაიონის ტერიტორიას, რომ უახლოვდებით, უპირველეს ყოვლისა ამჩნევთ, რომ რაიონს მაგრად მოუკიდებია ხელი საგზაო მშენებლობისათვის. ყველა მიმართულებით გაყვანილია საუკეთესო ფართო გზატკეცილი, გზების გასწვრივ ხეებია დარგული.

ყარაიას ტრიალი მინდვრები იფარება ბაღებით. ახლად გაშენებული ხეხილის ბაღები ამშვენებს საკოლმეურნეო მინდვრებს...

შარშან ყარაიას რაიონმა ბამბის სამუშაოთა გეგმები ვერ შეასრულა. ამ სამარცხვინო გარღვევის ლიკვიდაციის მიზნით შემოდგომიდან და განსაკუთრებით ახლა რაიონმა ფართოდ გაშალა საგაზაფხულო თესვისათვის მოსამზადებელი მუშაობა.

მტს-მა (დირექტორი ბუნიატოვა) ტრაქტორების და სხვა იარაღ-მანქანების რემონტი ვადაზე 25 დღით ადრე დაამთავრა. მარჯვედ მუშაობს პირველი ბრიგადა (ბრიგადირი ჩხიკვაძე) მან დაამთავრა ტრაქტორების რემონტი და ხვნას განაგრძობს.

18 იანვარს რაიონში შესდგა კოლმეურნეობის თავმჯდომარეთა და აგრონომთა თათბირი, თათბირს თავმჯდომარეობდა რაიაღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ი. ჰუსეინოვი. თათბირზე მონაწილეობა მიიღეს მიწსახკომის მარცვლეულობის სამმართველოს უფროსმა ამხ. შ. ორჯონიკიძემ, ყარაიას პარტ-რაიკომის მდივანმა ამხ. სახლთხუციშვილმა, მტს-ის დირექტორმა ამხ. ვ. ბუნიატოვამ და რაიონის სხვა პასუხისმგებელმა მუშაკებმა.

თათბირმა განიხილა ბამბის სამუშაოთა წლიური გეგმა.

გეგმა უაღრესად კონკრეტულია და ითვალისწინებს ბამბის ფრონტზე გამარჯვების ყველა საჭირო ორგანიზაციულ და აგროტექნიკურ ღონისძიებებს. თათბირზე გამოირკვა, რომ ბამბისათვის ნიადაგის მომზადება — განყოფილებაზე ყველა კოლმეურნეობა გაცხოველებით მუშაობს. ბრიგადებზე და რგოლებზე მიმაგრებულია ნაკვეთები. შეაქვთ სასუქი.

მოწინავეთა რიგებში დგანან: ნარიმანოვის სახელობის (თავმჯდომარე ს. ასტან ოღლი), ოქტომბრის რევოლუციის 15 წლისთავის სახელობის მილიონერი კოლმეურნეობა (თავმჯდომარე ფ. შპიცი) და მთელი რიგი სხვა კოლმეურნეობანი. მათ საბამბე ნიადაგი უკვე მოხნეს და სასუქის შეტანაც ძირითადად მოათავეს.

ცუდად გამოიყურებიან როზა ლუქსემბურგის სახელობის (თავმჯდომარე ლანგი) და კაგანოვიჩის სახელობის (თავმჯდომარე გაბუნია) კოლმეურნეობანი.

თათბირმა განიხილა ბამბის კულტურის აგროწესები, სამუშაოთა შესრულების კალენდარული გეგმები და თესლის საკითხი. მიზანშეწონილად იქნა ცნობილი „შრედერის — 306“-ის ჯიშის თესლით თესვა. ეს უკანასკნელი ყარაიას რაიონში მაღალი მოსავლიანობით ხასიათდება. ცდით დამტკიცდა, რომ ჰექტარზე აღნიშნული თესლით ნათესი იძლევა 28 ცენტნერს, ნაცვლად „915“-ის ჯიშის 23 ცენტნერისა.

მუშაობაში დიდ თაოსნობას და ენერგიას იჩენენ ბამბის ენტუზიასტი უფროსი აგრონომი კ. პერვასი და უბნის აგროტექნიკოსი გ. დევდარიანი.

ყარაიას რაიონმა ბამბის სამუშაოთა უმაღლესი ხარისხით შესრულებისა და მოსავლიანობის ზრდის საქმეში სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია ბორჩალოს რაიონი.

3 თებერვალს საქ. კ.პ.(ბ) ც. კ-ში ჩატარებულ თათბირზე რაიონის ხელმძღვანელობამ სიტყვა მისცა ამხ. ლავრენტი ბერიას, რომ ბამბას დასთესავენ 2.000 ჰექტარზე, ხოლო საშუალო მოსავალს ჰექტარიდან მიიღებენ 18 ცენტნერის რაოდენობით.

დ. გურიანთელი.

მომზადებული შევხვდეთ საგაზაფხულო თესვას

(აბაშა, „კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტისაგან)

შარშანდელი 11.500 ჰექტარის ნაცვლად წელს აბაშის რაიონში სიმინდი 12.000 ჰექტარზე დაითესება, სოია 2.400-ზე და სხვ.

საჭირო რაოდენობის სიმინდის თესლი უკვე გამოყოფილი და აპრობირებულია, მაგრამ 400—500 ჰექტარზე აბაშის საუკეთესო ყვითელი ჯიშის ნაცვლად ჯერ კიდევ ისევ ძველ ადგილობრივ დაბალი ჯიშის თეთრ სიმინდს დათესავენ.

მთელ რიგ კოლმეურნეობებში დაბალია ყვითელი ჯიშიანი თესლის ხარისხიც. ახალი აბაშის ქართველიშვილის სახელობის კოლმეურნეობაში გამოყოფილი 52,5 ცენტნერი ყვითელი სიმინდის თესლის 6 პროცენტი დაზიანებულია და დაავადებული.

მეტად დაბალი ხარისხისაა სოიას თესლის ნაწილიც — 300—400 ცენტნერამდე აუცილებლად უნდა გამოიცვალოს (კოლმ.—„შრომა“, „თანხმობა“ და სხვ.).

რაიონმა უკვე მიიღო ციტრუსების და სხვა სუბტროპიკული ხეხილის გაშენების დამტკიცებული გეგმა, მაგრამ მანდარინის საჭირო რაოდენობის ნერგი ადგილზე არ არის. მიწსახკომის სუბტროპიკული სამმართველოს ცნობით ადგილზე 8.500 ძირი ნერგი უნდა იყოს, ფაქტიურად კი არის 6500. ამ დანაკლისის შესავსებად (გამოსაყოფად, დასაჯავშნად) ახლავე უნდა იქნეს ზომები მიღებული.

აბაშის რაიონმა შარშან გეგმით გათვალისწინებული 3 ჰექტარის ნაცვლად 6 ჰექტარი ციტრუსი გააშენა. წელსაც გათვალისწინებული 10 ჰექტარის ნაცვლად 15—20 ჰექტარს დარგავს, თუ, რასაკვირველია, ნერგით იქნება უზრუნველყოფილი, სულ კი 1940 წლისათვის გათვალისწინებული 133 ჰექტარი ახალი ფართობის ათვისების გეგმას, უდავოა, 1938—39 წლებში, ე. ი. ვადაზე ადრე გაანაღდებს.

ეს შესაძლებლობა მაქსიმალურად უნდა იქნას გამოყენებული.

წელს გასაშენებელი ციტრუსებისათვის უკვე მომზადებულია 180 ტონა ნაკელი (თვითეულ ძირზე 18 კილოგრამი). ამოღებულია ორმოების 90 პროცენტამდე. ამ მუშაობის დამთავრებასთან ერთად ახლა საჭიროა მცენარეთა საუკეთესოდ გამოზამთრების უზრუნველყოფა და, როგორც ციტრუსების, ისე სხვა კულტურების ნერგისა და თესლის დანაკლისის შევსებასა და დაცვაზე ზრუნვა.

ტრ. თოდრაძე.

ი. გრიშაშვილი

პუშკინი და ილია

პუშკინი გარდაიცვალა 1837 წ.
ილია დაიბადა 1837 წ.
(ქრონიკებიდან)

ათი ათასი წყევლა და რისხვა
მეფეს, ჯალათებს, ტრელებს, მკრეხელებს,
მოგკლეს, საჯაროთ დაგღვარეს სისხლად
და მერე ჩუმად ითბობდნენ ხელებს.

წყვდიადით მოცულ „მოდგმას ბრწყინვალეს“
ხელში ჩირაღდნით ეკვეთე უცებ,
რუსული ლექსით ქართულ მყინვარებს
შენ მოუნახე ახალი ფუძე.

გიყვარდა ჩვენი ბაღჩა-ბაღები,
თუმანიშვილი და საათნოვა
შენთვის მანანამ ორჯერ მოქსოვა
ჩაქსული ჩოხა ყაისნაღებით.

იყავი ცეცხლი. გაქციეს ნაცრად.
ხალხი დაფლულ ცეცხლს უფრო იგონებს.
ჩააქრეს, მაგრამ ნაპერწკლის აცრა
დღესაც ატყვია ქართულ სტრიქონებს.

ილია ჩვენი ფხა და იარა,
ილია — ქართულ მიწაზე მდგარი,
ჯერ ისევ ბალღი შენ გეზიარა,
შენს ობოლ ბედზე გულ-ამომჯდარი.

მაგრამ ის „ბედი“ ჩვენც დაგვხვდა კართან,
ორივეს გერგოთ ტყვიები, პუშკინ!
მას ტვინში მოხვდა ტყვია წუხკალთა,
შენ კი პირდაპირ ანთებულ გულში.

ა. პუშკინი

თათრული სიმღერა

1.

„ზეცა, იმედის გამომსახველი,
უსპობს, მორწმუნეს ცრემლსა და შნამსა:
ბედნიერია მექის მნახველი
წყნარი ფაკირი სიბერის ჟამსა.

2.

„ბედნიერია ომში წასული,
თუ დაეცემა დუნაის კიდეს:
მის წინ ედემის ტურფა ასული
უნდა ღიმილით მკლავებსა შლიდეს.

3.

„მაგრამ ყველაზე ბედნიერია
და უსაზღვროა იმისი ლხენა,
ვისაც, ზარემავ, როგორც ფერია,
ჰარამხანაში უზიხარ შენა“.
ასე მღერიან. მაგრამ ზარემა
სად არის ახლა — ვარსკვლავი ტრფობის?
ვაგლახ, ფერმკრთალმან და მწუხარემან
არ მოისმინა სიმღერა მკობის
ალვას შეტევამ ქარიშხალისმა
ზედ დააჩინა სასტიკი წყლული,
სრულად დასტოვა ქალი ხალისმა,
როცა დაჰკარგა გირეის გული.
მან გიღალატა! მაგრამ ვინ არი,
რომ შეგედაროს შენ ქართველ ქალსა?
ეგ შენი შუბლი შუქთა მფინარი
დაიჩნევს ორი ნაწნავის კვალსა.
შენი თვალები ცეცხლია მწველი,
დღეზე ნათელი, ღამეზე ბნელი.
ხმა სხვას ვისა აქვს გულში მწვდომელი,
რომ გამოხატოს მხურვალე ვნება?
ბაგე დადნება კოცნით რომელი
ისე, ვით შენი ტუჩები დნება?
სული ვით შეხვდეს მეორეს ლხენით,
თუ კი იქნება გავსილი შენით?
მაგრამ, გულგრილმან და ავმან ავზე,
დასთმო გირეიმ შენი შვენება,
და ღამეებმა იწყეს თენება
ძილგამტეხელის ჩაქინდრულ თავზე,
რომ პოლონელი თავადის ქალი
მან შემოზღუდა კედლების რკალით.

თარგმანი კონსტანტინე ჭიჭინაძისა

პუშკინმა ბოლდინოდან გამოსვლა მხოლოდ დეკემბერში მოახერხა. 5 დეკემბერს იგი უკვე მოსკოვში იყო.

ქორწინება მოხდა 1831 წლის 18 თებერვალს ბოლშაია ნიკიტსკაიას (ახლა გერცენის ქუჩა) დიდი ამაღლების ეკლესიაში. პუშკინი, უკანასკნელი დღეებისგან განსხვავებით, ძალიან მხიარულად იყო, მეგობრებთან ალერსიანად იყო და იცინოდა. მაგრამ ჯვარისწერის დროს, ბეჭდების გაცვლის დროს, პუშკინს ბეჭედი გაუვარდა. ცრუმორწმუნე პუშკინი გაფითრდა და წაიჩურჩულა:

— სულ ყველგან ცუდი ნიშნები.

დაქორწინების შემდეგ

პუშკინი ფიქრობდა ცოლიანად მოსკოვში დარჩენილიყო. მას ექირა მყუდროდ მოწყობილი ბინა არბატში. „მე ცოლიანი ვარ და ბედნიერი, — სწერდა პუშკინი პლეტნიოვს. — ერთი-და სურვილი მაქვს — რომ ჩემს ცხოვრებაში არაფერი შეიცვალოს. უკეთესს ვერ მოვესწრები. ასეთი მდგომარეობა ჩემთვის ისეთი ახალია, ასე მგონია, ხელახლა დავიბადე-მეთქი“. მაგრამ სულ უფროდაუფრო ხშირდებოდა სიდედრთან შეტაკებები. ნატალია ივანოვნა (სიდედრი) ყოველგვარად უჩიჩინებდა თავის ქალიშვილს პუშკინის წინააღმდეგ, სახელს უტეხდა მას მის თვალში. ისეთი დავიდარაბა დაიწყო, რომ პუშკინისთვის აუტანელი მდგომარეობა შეიქმნა. მან მოსკოვს თავისი ბინის ლიკვიდაცია მოახდინა და მაისის შუა რიცხვებში პეტერბურგს გადავიდა. გადასწყვიტეს იქ დასახლებულიყვნენ. საზაფხულოდ კი პუშკინმა დაიქირავა აგარაკი პეტერბურგის ახლო, ცარსკოე სელოში.

პუშკინს ცოლი ძალიან უყვარდა. ნატალია ნიკოლაევნას კი ნამდვილად მხოლოდ სამკაულები და საზოგადოებაში ბრწყინვა აინტერესებდა. მას არ ჰქონდა უნარი თავისი ქმრის დაძაბულ გონებრივ და შემოქმედებითს მუშაობაში რაიმე მონაწილეობა მიეღო. როცა ჯერ კიდევ შემოქმედების მღელვარებით აღსავსე პუშკინი მივიდოდა ხოლმე ცოლთან თავისი ახალი ლექსების საკითხავად; ის კი წამოიძახებდა: ღმერთო ჩემო, რა ძალიან მომაბეზრე, პუშკინ, თავი შენი ლექსებით.

ხოლერა, რომელიც ზამთარს თითქოს შენელდა, გაზაფხულზე კვლავ ამძვინვარდა და პეტერბურგს მიუახლოვდა. იმპერატორი და მისი სახლობა ცარსკოე სელოში გადავიდა. „ცარსკოე სელო [illegible], იგი სატახტო ქალაქად იქცა“ — სწერდა პუშკინი პლეტნიოვს.

ერთხელ ცარსკოე სელოს პარკში პუშკინი შეხვდა იმპერატორს. ნიკოლოზი პუშკინს ძალიან მოწყალედ მოეპყრო, გამოჰკითხა მისი საქმეების ამბავი, სხვათა შორის ისიც ჰკითხა, რატომ არ მსახურობო. პუშკინმა უპასუხა, მზადა ვარო, მაგრამ გარდა სალიტერატურო სამსახურისა სხვა არა ვიცი რაო. მაშინ მეფემ წინადადება მისცა შესდგომოდა პეტრე პირველის ისტორიის წერას.

პუშკინის ტურფა მეუღლე ძალიან მოეწონა დედოფალს. იმპერატორიც უკვე წინათ, მოსკოვში ყოფნისას სხვადასხვა დღესასწაულებზე შეხვედროდა ნატალია ნიკოლაევნას, როდესაც ეს უკანასკნელი ჯერ გაუთხოვარი იყო. იმპერატორს მოსწონდა და საინტერესოდ მიაჩნდა იგი. დედოფალმა გამოსთქვა სურვილი, რომ ნატალია ნიკოლაევნას ევლო სასახლეში.

1831 წლის შემოდგომას პუშკინი გადასახლდა ცარსკოე სელოდან პეტერბურგს. იგი ოფიციალურად ჩარიცხეს საგარეო საქმეთა სახელმწიფო კოლეგიაში, მალე მისცეს შემდგომი ჩინი და დაუნიშნეს ჯამაგირად ხუთი ათასი მანეთი. მაგრამ პუშკინის მაშინდელ საჭიროებათათვის ეს სრულიად არ კმაროდა.

ნატალია ნიკოლაევნას ცხოვრება გამუდმებულ მხიარულებაში, დღესასწაულებსა და ბალებში გადიოდა. იგი შინ ბრუნდებოდა დილის 4-5 საათზე, დგებოდა გვიან. სადილობდნენ საღამოს 8 საათზე; სადილს შემდეგ ნატალია ნიკოლაევნა ტანისამოსს გამოიცვლიდა და ხელახლა წავიდოდა სადმე. პუშკინი თან დაჰყვებოდა, თუმცა პუშკინისთვის უკვე დიდი ხანი იყო განვლილი იმ ხანას, როდესაც თვითონ იგი იყო გატაცებული ცეკვით. მაგრამ ხომ არ შეიძლებოდა საზოგადოებაში ცოლს უქმროდ ევლო და ყოველ საღამოს პუშკინი ბალებში ატარებდა; იდგა კედელთან, გულგრილად უცქეროდა მოცეკვავეებს, ნაყინს სჭამდა და ამთქნარებდა. ერთხელ მან ამოოხვრით უთხრა ნაცნობ ქალს:

Неволя, неволя, боярский двор!
Стоя наешься, сидя наспишься!

მეგობრები მწარდი მწუხარებით ადევნებდნენ თვალყურს, შემოქმედებისთვის რა საშინელ პირობებში უხდებოდა ცხოვრება პუშკინს. თვითონ ისიც ნაღვლიანად სწერდა ერთ თავის მეგობარს: „არა მაქვს თავისუფალი, სალთი ცხოვრების მოცალეობა, რომელიც აუცილებელია წერისათვის. დავტრიალებ საზოგადოებაში, ჩემი ცოლი დიდ მოდაშია, — ყველაფერ ამას ფული ესაჭიროება, ფულს შრომით ვშოულობ, შრომას კი განმარტოება სჭირია“. ახალი ნაშრომებისთვის პოეტს არ ჰქონდა განმარტოების საშუალება; უკვე დაწერილი ნაშრომების დაბეჭდვას კი ბევრი დაბრკოლება უდგა წინ; ეს დაბრკოლებანი გამომდინარეობდნენ იმ უმაღლესი „მოწყალებიდან“, რომელიც პუშკინისადმი გამოიჩინეს — იმის უფლებიდან, რომ თავისი ნაწარმოებნი საცენზუროდ წარედგინა თვითონ იმპერატორისთვის.

პუშკინს ეგონა, რომ ეს იყო მისი უფლება; აღმოჩნდა კი, რომ ეს ყოფილიყო მისი მოვალეობა. და პუშკინი სწერდა ბენკენდორფს: „ვბედავ და ვითხოვ ერთ მოწყალებას: მომავალში წვრილი ნაწარმოებებით უფლება მქონდეს მივმართო ხოლმე ჩვეულებრივ ცენზურასაო“. აი, უკვე რა მოწყალების თხოვნა უხდებოდა პუშკინს!

პუშკინი ბევრს მუშაობდა არქივებში, აგროვებდა მასალას პეტრე პირველის ისტორიისთვის, რომლის დაწერაც მეფემ დაავალა. მაგრამ პეტრე პირველის ისტორიის შესამზადებელ მუშაობას ხელს უშლიდა მეორე სამუშაო. პუშკინი დააინტერესა პუგაჩოვმა, ყაზახ-გლეხთა აჯანყების მეთაურმა XVIII საუკუნეში. იმავე დროს აზრად დაებადა დაეწერნა რომანი პუგაჩოვშჩინის დროიდან. ამისათვის პუშკინს სჭირდებოდა დაეთვალიერებინა აღმოსავლეთი რუსეთი, სადაც პუგაჩოვი მოქმედებდა. პუშკინმა მიიღო ოთხი თვის შვებულება და 1833 წლის 17 ივლისს გაემგზავრა პეტერბურგიდან. მას უკან დაადევნეს საიდუმლო მიწერილობა იმ გუბერნიების უფროსებისთვის, რომლებიც პუშკინს უნდა დაეარნა: „მოახდინეთ სათანადო განკარგულება, რათა ტიტულიარნი სოვეტნიკს პუშკინს, მისი თქვენთან ყოფნისას, მიეჩინოს უსაიდუმლესი პოლიციური ზედამხედველობა მის ცხოვრებასა და ყოფაქცევას“.

პუშკინმა მოინახულა ყაზანი, ორენბურგი, ურალსკი. ეკითხებოდა მოხუცებს პუგაჩოვზე, ათვალიერებდა სამხედრო მოქმედებათა ადგილებს. ორენბურგიდან იგი გაემგზავრა ბერდის სტანიცაში, პუგაჩოვის ყოფილ სატახტო ქალაქში.

ბერდში პუშკინმა მონახა სამოცდახუთმეტი წლის მოხუცი ყაზახი დედაკაცი, რომელიც პირადად იცნობდა პუგაჩოვს. პუშკინმა მასთან დაჰყო მთელი დილას, ეკითხებოდა და ისმენდა მისგან ძველ სიმღერა-ლექსებს, ხოლო გამოთხოვებისას ერთი ოქრო აჩუქა.

პუშკინი წამოვიდა. ბერდის მცხოვრებნი ძალიან გაოცვიფრებულნი იყვნენ: რისთვის ჩამოვიდა ეს კაცი, რატომ გვეკითხებოდა ასეთი გაცხარებით ყაჩაღზე, რატომ მისცა დედაბერს ერთი ოქროვო. აქ რაღაც საეჭვო ამბავი უნდა იყოს, ცუდი კი არაფერი მოჰყვესო. შეაბეს ცხენის ურემი, გაგზავნეს მთავრობის წარმომადგენლებთან დედაბერი მისი ერთი ოქროთი და განაცხადეს:

— გუშინ ვიღაც უცხო ბატონი ჩამოვიდა. მისი გარეგანი ნიშნები ასეთია: ტანად მაღალი არაა, თმა შავი აქვს, ხუჭუჭი. შავგვრემანია, პუგაჩოვშჩინისთვის აქეზებდა და ოქროს არიგებდა; ალბათ ანტექრისტე თუ არის, რადგან თითებზე ფრჩხილების მაგივრად ბრჭყალები აქვსო (როგორც ცნობილია, პუშკინი გრძელ ფრჩხილებს იყენებდა)...

1833 წლის 1 ოქტომბერს პუშკინი ჩავიდა თავის სოფელ ბოლდინოში და ჩაუჯდა წერას. ოდნავ ხელსაყრელი გარემოება შეიქნა და მისმა შემოქმედებამ ხელახლა მძლავრად იფეთქა. „გავკარი და უკვე უამრავი დავსწერე“ — ატყობინებდა იგი მეუღლეს კმაყოფილებით. ბოლდინოში თვენახევრის ყოფნისას პუშკინმა დასწერა: „ზღაპარი მებადურისა და თევზზე“, „ზღაპარი მიცვალებული მეფის ქალიშვილისა“, „ანჯელო“, გადმოთარგმნა მიცკევიჩის ორი ბალადა, მოათავა პუგაჩოვის ისტორია და დასწერა თავისი ყველაზე გამოჩენილი ნაწარმოებნი—პოემა „ბრინჯაოს მხედარი“ და მოთხრობა „პიკის ქალი“.

1833 წლის ნოემბერში პუშკინი დაბრუნდა პეტერბურგს.

ტყვეობა მეფის კარზე

ანიჩკოვის სასახლეში იმართებოდა ინტიმური სამეფო საღამოები, რომლებზედაც მიიწვევდნენ ხოლმე მხოლოდ საკარისკაცო ხარისხის მქონეებს. ნიკოლოზს უნდოდა ამ საღამოების კარი გაეღო ნატალია ნიკოლაევნასათვის და ამიტომ 1834 წლის ახალწლის წინათ დასწერა ბრძანება: „საგარეო საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეს ტიტულარნი სოვეტნიკს ალექსანდრე პუშკინს უმოწყალესად ვუბოძეთ ჩვენი სასახლის კამერ-იუნკრის წოდებაო“. კამერ-იუნკრად პუშკინის დანიშვნით ნიკოლოზმა ერთბაშად ორ მიზანს მიაღწია: შესაძლებელი გახადა ნატალია ნიკოლაევნასთან ხშირი შეხვედრა და ფრიად დაამცირა პუშკინი, რომელიც თავის გულში სძულდა: კამერ-იუნკრობას ჩვეულებრივად აძლევდნენ ძალიან ახალგაზრდებს. ოცდახუთმეტი წლის, უკვე შექალარავებულ პუშკინს მათ შორის სასაცილო შთაბეჭდილება უნდა მოეხდინა.

პუშკინი გააფთრდა როდესაც ხსენებული დანიშვნა გაიგო. იმდენად გამოვიდა მოთმინებიდან, რომ აპირებდა სასახლეში მისვლას და თვითონ მეფისთვის მაგარ-მაგრების თქმას. თავისი გაკამერიუნკრების მიზეზი მას ძალიან კარგად ესმოდა.

პუშკინს გული აჩხორილი და აფორიაქებული ჰქონდა. იგი არავის არ შესჩიოდა თავის მძიმე ცხოვრების გამო, მაგრამ ამხანაგები ხშირად კითხულობდნენ მის სახეზე სასოწარკვეთილ მოუსვენრობას. მივიდოდა შინ, ჩაიწყობდა განიერი შარვლის ჯიბეებში ხელებს და დაღონებული იმეორებდა:

— ნაღველი და დარდი, სხვა არაფერი.

იმხანად პუშკინს თითქმის ვერასოდეს ვერ ხედავდნენ მხიარულსა და უდარდელს. ძალიან, ძალიან იშვიათად გაიღვიძებდა ხოლმე მასში ძველებური ხუმარა და ოინბაზი.

პუშკინის მწერლური სიმარტოვე სულ უფრო და უფრო ძლიერდებოდა. მისი პოეზიის მკაცრი უბრალოობა, მისი პროზის ნაჭედობა არ აკმაყოფილებდა იმდროინდელ საზოგადოებას, რომელიც გაფაციცებით კითხულობდა ბენედიქტოვის ეფექტიან-ტკაცუნა ლექსებს, მარლინსკის ზიზილპიპილა პროზას და გულგრილად გვერდს უვლიდა პუშკინს. კრიტიკამ ალღო აუღო ამ დამოკიდებულებას, უფრო მეტი თავშეუკავლობით იწყო პუშკინზე თავდასხმა.

პუშკინი ცოტას სწერდა, დაწერილს ძალიან მკაცრად ეპყრობოდა. ამიტომ იგი ბევრს არა ბეჭდავდა, ბევრს კიდევ ცენზურა არ უშვებდა. პუშკინის სიცოცხლის უკანასკნელი ექვსი წლის განმავლობაში მკითხველს საშუალება ჰქონდა პუშკინის მსხვილ ნაწარმოებთაგან გაეცნო მხოლოდ „პიკის ქალი“ და „კაპიტნის ქალი“.

მაღალ საზოგადოებაში იგი არ უყვარდათ, რადგან ეშინოდათ მისი ბასრი, მომაკვდინებელი ეპიგრამებისა, რომლებშიაც არ ძუნწობდა და რომელთა გამო ამ „მაღალ საზოგადოებაში“ პუშკინმა ბევრი შეურიგებელი მტერი გაიჩინა.

1834 წ. ყველიერის კვირაში პუშკინის მეუღლე ნატალია ნიკოლაევნა დიდ საცეკვაო შრომა-გარჯისგან დაღლილ-დაქანცული—ავად გახდა. როდესაც მოკეთდა, შემოდგომამდე წავიდა ბავშვებიანად კალუგის გუბერნიაში, თავის ძმასთან. პუშკინი მარტო დარჩა პეტერბურგში „პუგაჩოვის ამბოხის ისტორიის“ ბეჭდვის თვალყურსადევნებლად. უცებ იგი ღებულობს ჟუკოვსკის შეშფოთებულ წერილს ცარსკოე სელოდან: პუშკინის რომელიღაც წერილი გაუცვნიათ იმპერატორისთვის და იგი ძალიან გაჯავრებულაო. აღმოჩნდა, რომ მოსკოვის ფოსტას გაეხსნა პუშკინის წერილი ცოლთან და გადაეგზავნა მესამე განყოფილებისათვის. ამ წერილში პუშკინი სწერდა: განზრახვა მაქვს არ გამოვცხადდე ტახტის მემკვიდრის სრულწლოვანობის საზეიმო დღესასწაულზეო და საკმაოდ უდიერად იხსენიებდა თავის კამერ-იუნკრობას. ჟუკოვსკიმ მოახერხა, რომ საქმე ჩაფარცხეს.

პუშკინმა გადასწყვიტა თავი დაეღწია იმ გალიისთვის, რომელშიაც იგი მთავრობამ ჩაამწყვდია. 1834 წლის 25 ივნისს მან ბენკენდორფს წარუდგინა გადადგომის განცხადება. მისმა თხოვნამ მეფე უსასტიკესად აღაშფოთა. ჟუკოვსკიც შეფიქრიანდა და ცარსკოე სელოდან წერილს წერილზე უგზავნიდა, უსაყვედურებდა სისულელესა და უტაქტობას. ჟუკოვსკის ზეგავლენით პუშკინმა თხოვნა უკან წაიღო.

რატომ ეპყრობოდა მთავრობა პუშკინს ასე მტრულად და ეჭვიანად? პუშკინი მთელი თავისი არსებით მიუღებელი იყო თვითმპყრობელობისთვის. მერე რა, რომ პუშკინი „სცნობდა“ ამ თვითმპყრობელობას? საჭირო იყო არა ცნობა, არამედ აღფრთოვანებით მისი სიყვარული და ქება, უკრიტიკოდ, თავშეუკავებლად და უკანმიუხედავად ქება. თავისი ოდებით — «Клеветникам России» და «Бородинская Годовщина»-თი პუშკინი თითქმის ამ გზას დაადგა, მაგრამ მალე გადუხვია და აღარც მიჰბრუნებია მას. ნიკოლოზს კი რად უნდოდა „უბრალო“ გენიალური პოეტი, რომელიც „უბრალოდვე“ ჰქმნიდა გენიალურ ნაწარმოებებს? პუშკინი ვერ ეტეოდა ნიკოლოზის თვითმპყრობელობის ფარგლებში არა როგორც მისი მტერი, არამედ როგორც უდიდესი კულტურული მოვლენა, რომელმაც გადაამეტა მის ფარგლებს. ასევე, სასახლის და მაღალი საზოგადოების ცხოვრების ჩარჩოებში პუშკინი ვერ ეტეოდა არა როგორც მისი უარმყოფელი, არამედ როგორც ღრმად კულტურული, ღირსებით აღსავსე ადამიანი, რომელსაც ორგანულად არ შეეძლო მეფის მონა-კარისკაცი გამხდარიყო.

ნიკოლოზმა იმას მიაღწია, რომ პუშკინი წამოაჩოქა, მაგრამ წამოჩოქილიც პუშკინი არ იხრიდა ამაყად მაღლააწეულ თავს. იმპერატორი ამას ხედავდა, პუშკინი „უცხოდ“ მიაჩნდა და მისგან ავის მომლოდინე იყო.

გარდა ამისა, იმპერტორმა ბევრი რამ პუშკინისა არ იცოდა. ჯერ კიდევ იმ 1827 წელს, როდესაც პუშკინი ზურგს აქცევდა „შავხალხს“, — ჯერ კიდევ ერთერთ დაუმუშავებელ შავად ნაწერში ჩაფიქრებული იგი სწერდა ამნაირ სტრიქონებს:

Блажен в златом кругу вельмож
Пнит, внимаемый царями:
Владея смехом и слезами,
Приправя горькой правдой ложь, —
Он вкус притупленный щекотит
И к славе спесь бояр охотит,
Он украшает их пиры
И внемлет умные хвалы.
Меж тем, за тяжкими дверями,
Теснясь у черного крыльца,
Народ, толкаемый слугами,
Пэодаль слушает певца.

ახლა ეს ხალხი, რომელსაც მსახურნი მუჯლუგუნს ჰკრავენ, პატივისცემით ყურს უპყრობს პოეტს უკანა კართან მდგარი და წარმოუდგება პუშკინს ახალ, სასურველ მსმენელად. სიკვდილის ნახევარი წლის წინათ იგი სწერს თავის ცნობილს „ძეგლს“— პუშკინისათვის ამ საოცარ ნაწარმოებს იმ მხრივ, რომ პუშკინი აქ სულ ახლებურად უდგება პოეზიის ამოცანებს და ახლებურად აფასებს თავის პოეტურ დამსახურებას. ფორმით ეს ლექსი მიბაძვაა დერჟავინის ამავე სახელწოდების ლექსისა. დერჟავინი თავის „ძეგლში“ ჩამოსთვლის იმ დამსახურებას, რომლებიც მას მიუძღვის და უფლებას აძლევს—შთამომავლობამ არ დაივიწყოს. ამ დამსახურებად „ღვთისხატება ფელიცის“, ეკატერინე მეორის მომღერალს მიაჩნდა ის, რომ:

Первый я дерзнул в забавном русском слоге
О добродетелях Фелицы возгласить,
В сердечной простоте беседовать о боге
И истину царям с улыбкой говорить.

ხაზგასმით უპირისპირებდა რა თავის თავს დერჟავინს პუშკინი აი, როგორ ასაბუთებდა სახელის მოპოვების უფლებას: მე ვამაყობ, რომ ჩემი ძეგლის გზას არასოდეს არ დაივიწყებს ხალხი; ჩემი ძეგლი უდრეკი თავით მიიმართება ყოველგვარ მეფეთა ძეგლებზე მაღლაო. რატომ მოელის იგი ხალხისაგან არ დავიწყებას?

მოყვარულ ხალხში არ მოკვდება ჩემი სუფევა,
რადგან სიკეთეს უგალობდა ჩემი ჩანგური,
რადგან ვადიდე ჩვენ სასტიკ დროს თავისუფლება
და შევივრდომე ყველა ჩაგრული.

დიდ განცვიფრებას იწვევს „ძეგლის“ ბოლო სტროფი:

დაემორჩილე ჩემო მუზა, მაღალ განგებას,
ნუ შიშობ წყენას, ნურც მოელი გვირგვინს ანთებით
გულცივად შეხვდი ყოველ ქებას, ყოველ ძაგებას
და რეგვენ კაცს ნუ ეკამათები.

ეს სტროფი სავსებით გასაგები და სრულიად თავის ადგილას ნათქვამად მიიჩნევა, თუ ამ ლექსს ჩვენ მივიჩნევთ პუშკინის მიერ არა მარტო თავისი წინანდელი პოეტური საქმიანობის შედეგების შეჯამებას, არამედ გადამჭრელ განცხადებასაც იმის შესახებ, რომ იგი გადადის სრულიად ახალ პოეტურ პოზიციებზე. „სიკეთის გალობა“, „თავისუფლების დიდება“, „ყველა ჩაგრულის შევრდომება“—აი ახლა რას აფასებს ყველაზე მეტად პუშკინი თავის წინანდელ მოღვაწეობაში, აი რა მიაჩნია მას განგების ბრძანებად მომავალი საქმიანობისთვის. დაადგა რა ამ გზას, იგი მზად არის რეგვენის დაცინვისათვისაც, ცილისწამებისა და წყენინებისათვისაც და ამ გზაზე მას არც ქება ესაჭიროება, არც გვირგვინები.

პუშკინი ახლა ცდილობს ბელინსკისთან დაახლოვებას. თავის არისტოკრატ მეგობრების ნამალევად პუშკინი უგზავნის მას თავის ჟურნალ „სოვრემენიკს“, ფიქრობს მოიწვიოს იგი თავის ჟურნალში თანამშრომლობისათვის. პუშკინის პოეზიაში იწყებს ჟღერას მისგან დიდი ხნის მივიწყებული ხმები.

ღრმა სამოქალაქო აღშფოთებით არის აღსავსე ლექსი, რომელიც გამომწვევად არის დასათაურებული «Мирская власть» («Когда великое свершилось торжество»)...

პუშკინი იწყებს დრამას ფეოდალური რაინდობის დროიდან. მას გრანდიოზული განზრახვა აქვს: გვიჩვენოს მაშინდელი თავად-აზნაურობის დამსხვრევა მაშინდელი დემოკრატიის, გლეხობისა და მოქალაქეების მიერ. მან დასწერა მხოლოდ დასაწყისი სცენები, მაგრამ ჩვენამდე მოაღწია მთელი დრამის კონსპექტმა და იქიდან სჩანს, თუ რა რევოლუციური პათოსით იქნებოდა გაჟღენთილი ეს დრამა.

პუშკინის მატერიალური მდგომარეობა სულ უფროდაუფრო უარესდებოდა. მას სრულიად არ ჰყოფნიდა სახსრები იმ მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად, რომელსაც აყენებდა სამეფო კარზე ცხოვრება და მისი მეუღლის წარმატებანი. მოვალეები მის ბინას არაა შორდებოდნენ, წერილებით აწუხებდნენ და ვალის განაღდებას მოითხოვდნენ. 1835 წლის ზაფხულში პუშკინმა ერთხელ კიდევ სცადა თავი დაეღწია პეტერბურგისათვის. იგი სწერდა ბენკენდორფს: „მე იძულებული ვარ ბოლო მოვუღო იმ ხარჯებს, რომლებსაც მხოლოდ ვალები მოსდევს და რომლებიც განმიმზადებენ მე დიდი შეწუხებითა და გაჭირვებით, თუ არა სიღატაკითა და სასოწარკვეთილებით აღსავსე მომავალს. სოფლად სამი-ოთხი წლის განმავლობაში ცხოვრება მე საშუალებას მომცემს ხელახლა დავბრუნდე პეტერბურგს და შევუდგე იმ მუშაობას, რომლებისთვისაც უნდა ვუმადლოდე მისი უდიდებულესობის გულკეთილობასო“.

მეფემ ხელახლა უარი უთხრა და მხოლოდ განკარგულება გასცა, მიეცათ პუშკინისთვის სესხად 30 ათასი მანეთი, ხოლო შის დასაფარავად დაეჭირათ მისი ჯამაგირი. ეს ფული ყველაზე გადაუდებელი ვალების გასტუმრებას მოუნდა. პუშკინს ჯამაგირი აღარ ეძლეოდა და ერთადერთი მისი შემოსავლის წყარო გახდა სალიტერატურო შრომა. მაგრამ იმ გამუდმებულ უსიამოვნებასა და გაწამაწიაში, რომელშიაც პუშკინი იმყოფებოდა, მას არ შეეძლო მუშაობა. „აქ, პეტერბურგში მე არაფერს ვაკეთებ, გარდა იმისა, რომ ნაღვლის გასკდომამდე ვბრაზდებიო“, — სწერდა იგი მამას.

პუშკინი ვეღარას სწერდა სოფელშიაც, სადაც სამუშაოდ წავიდოდა ხოლმე შემოდგომას. 1835 წელს შემოდგომაზე იგი მიხაილოვსკოეში წავიდა, იქ ერთ თვეს დაჰყო და ცოლს სწერდა: „ასეთი უნაყოფო შემოდგომა დაბადებიდან არასოდეს მქონია. ვწერ, მაგრამ ასე მგონია მძიმე მორებს ვაგორებ. შთაგონებისთვის გულდამშვიდება საჭირო, მე კი სრულიად არა ვარ დამშვიდებული.

Давно завидная мечтается мне доля
Давно, усталый раб, замыслил я побег
В обитель дальную трудов и чистых нег.

მაგრამ პუშკინის მეუღლე ამ „გაქცევას“ სრულიად არ თანაუგრძნობდა. მას სოფლის სახელის გაგონებაც არ შეეძლო და პუშკინთან მთელი ცხოვრების განმავლობაში არც ერთხელ არ ყოფილა არც მიხაილოვსკოეში, არც ბოლდინოში. ზაფხულობით ისინი ქირაობდნენ ხოლმე რომელიმე ძვირფას აგარაკს პეტერბურგის რომელიმე მოდურ კუნძულზე, სადაც შესაძლებელი იყო ისეთივე მხიარული, ხმაურიანი ცხოვრების ტარება, როგორსაც ზამთარს ატარებდნენ. პუშკინის მეუღლის ნატალია ნიკოლაევნას წარმატება უმაღლეს საზოგადოებაში—გამუდმებით იზრდებოდა. ახლა უკვე პუშკინი კი აღარ ანათებდა მას თავისი სახელოვნებით, არამედ თვითონ იგი ერთერთი უტურფესი, ყველას მომხიბლავი ქალი, — ანათებდა მას, უჩინარ ტიტულიარნი სოვეტნიკსა და „მელექსეს“.

(დასასრული იქნება)

მუშები მასობრივად სწავლობენ პუშკინს

სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონების შემკეთებელი ქარხნის პარტკაბინეტმა ფართოდ გაშალა სამზადისი დიდი რუსი პოეტის ალექსანდრე პუშკინის გარდაცვალების ასი წლისთავისათვის.

28 იანვარს პარტკაბინეტში ამხ. ჭეიშვილმა წაიკითხა მოხსენება პუშკინის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე. მოხსენებას 50-მდე აგიტატორი დაესწრო.

პარტკაბინეტში გამოფენილია პოეტის ნაშრომები.

აგიტატორებს დაურიგდათ პუშკინის ნაწარმოებნი: „ევგენი ონეგინი", „პიკის ქალი", „დუბროვსკი", რჩეული ლექსები და სხვ. მუშები ხარბად კითხულობენ წიგნებს.

აგიტატორები მართავენ საუბრებს საამქროებში, სასტატოებში, ბრიგადებში, მსმენელებს უხსნიან პუშკინის ცხოვრებასა და შემოქმედებას.

პარტკაბინეტის ინიციატივით ტექნიკურ კაბინეტში უჩვენეს კინო-სურათი „მეფე და პოეტი", რომელსაც 100-მდე დამკვრელი, სტახანოველი და აგიტატორი დაესწრო.

პუშკინის ნაწარმოებებისადმი მუშები დიდ ინტერესს იჩენენ.

ამწყობ საამქროში 40-მდე მსმენელისაგან შემდგარ ლიტწრეს პუშკინის ნაწარმოებთ უკითხავს მუშა მწერალი ამხ. ივანე ნაზარბეგოვი.

— მე, — ამბობს სტახანოველი ხარატი ამხ. ესტატე ქერიაშვილი, — ძლიერ მიყვარს პუშკინი. რა კარგი იქნებოდა, რომ იგი დღეს ცოცხალი იყოს და იბრძოდეს ჩვენთან ერთად მშრომელთა საერთო საქმისათვის. მე პუშკინს კარგად შევისწავლი.

— დიდი პოეტის ნაწარმოებებში ჩაქსოვილი სიტყვები, — სთქვა სტახანოველმა ზეინკალმა ამხ. ნიკოლოზ გეჯაძემ, — გონებაში ღრმად მწვდება. გადავწყვიტე იგი კარგად შევისწავლო. პუშკინის ნაწარმოებები საფუძვლიანად უნდა იცოდეს ყველა მუშამ.

ამხ. გეჯაძემ და აბესალომ მამაცაშვილმა წამოაყენეს წინადადება: ქარხანაში მოეწყოს პუშკინის მუდმივი კუთხე და გაგრძელდეს წრეების მეცადინეობა პუშკინის ნაშრომთა უკეთ შესასწავლად.

დ. ჯღარკავა

◇

ფაბრიკა ზღვაიაში

ამ მიდამოში შემოღამებისას მგზავრი შიშითა და ძრწოლით გაივლიდა. ზღვაიას ჭაობიან ნიადაგში გვიმრასა და ფოთლებ-შემოძარცულ ბუჩქნარს გაედგა ფესვი. აქ რიგიანად ბალახიც არ იზრდებოდა. საუკუნოებით დამკვიდრებულ მყუდროებას ბაყაყთა გაბმული ყიყინი და ქვეწარმავალთა სისინი არღვევდა.

ველის განაპირას გვიმრითა და ჩალით დახურულ ქოხმახში მარტოხელა მატრონა ცხოვრობდა; მახლობლად მდებარე სოფლებში მის შესახებ ათასგვარ მითქმა-მოთქმას გაიგონებდით. მატრონაც ხშირად იტყოდა: „დამაცადეთ, აქ დიდი ცენტრი იქნება, ქალაქს გააშენებენ და მე ქალაქის მცხოვრები გავხდებიო". მაშინ არავის სჯეროდა მატრონას სიტყვები. ღიმილით მოუსმენდნენ, „ყოჩაღ მატრონაო" ეტყოდნენ, შეაქებდნენ.

ამ ველის შესახებაც ბევრი ლეგენდა შექმნილა. ხალხის ფანტაზიამ ზღვაიაში ბაყაყთა და ქვეწარმავალთა გვერდით ალქაჯებს, ჭინკებსა და ავსულებს მიუჩინა ბინა. დროგამოშვებით ავაზაკები ჩაიგდებდნენ ხელში ზღვაიას ერთადერთი ბილიკით შემთხვევით გამოვლილ მგზავრს, გაძარცვავდნენ და სიცოცხლეს თუ შეუნარჩუნებდნენ, მგზავრისათვის ეს ბედნიერება იყო.

დრო გადიოდა. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ავაზაკობა მოისპო. ავაზაკებს ეს უკანასკნელი თავშესაფარიც დაატოვებინეს. მას შემდეგ ამ ველში მატრონას გარდა ადამიანს ვერ ნახავდით: ველი ისევ თავისი საიდუმლოებით მოცული, მყუდრო ცხოვრებით სულდგმულობდა.

სიმშვიდე პირველად ბოლშევიკებმა დაარღვიეს. ზღვაიაში ჩაის საბჭოთა მეურნეობა ჩამოაყალიბეს.

შვიდასი ჰექტარი ჩამოაცალეს ზღვაიას. ამ შვიდას ჰექტარზე მშრომელთა მხიარული ჟრიამული და სიმღერა გაისმა. ჩაის ბუჩქებით ხავერდივით აბიბინებული მინდორი თვალწარმტაცი სილამაზით ჰხიბლავს მაყურებელს.

ქვეწარმავალთა და ალქაჯთა საბუდარი ზღვაია ახლა ჩვენს ქვეყანას პირველხარისხოვან ჩაის აძლევს. ის საბჭოთა ცეილონის ღირსეულ და მშვენიერ ნაწილს შეადგენს.

მარტო 700 ჰექტარი ჩამოცილება როდი აკმარეს ზღვაიას. ახლა მას კიდევ 50 ჰექტარი ჩამოაჭრეს. ამ ფართობიდან მომავალი სეზონისათვის საბჭოთა მეურნეობის მშრომელთა ხმაურს ჩაის ფაბრიკა-გიგანტის გუგუნი შეუერთდება. ეს მეორე ფაბრიკა იქნება წალენჯიხის რაიონში. პირველი ფაბრიკა ვერ ასწრებდა რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობაში მოკრეფილი ჩაის ფოთლის გადამუშავებას. ახალი ფაბრიკა თავისი სიდიდით, სიმძლავრითა და ჩაის გადამუშავების ყველა პროცესის მექანიზაციით ერთი პირველი იქნება საბჭოთა კავშირში. გენერალური გეგმით 13 მილიონ მანეთამდე დასჭირდება ფაბრიკისა და დამხმარე 26 კაპიტალური შენობის აგებას. ფაბრიკა დღედაღამე იმუშავებს და ყოველწლობით ორ მილიონ კილოგრამ მზა ჩაის გამოუშვებს.

ფაბრიკას 360 ცხენისძალიანი საკუთარი ელსადგური ექნება. სადგურის მშენებლობა დამთავრებულია; ახლა მონტაჟი მიმდინარეობს და სულ ცოტა ხანს შემდეგ ზღვაიაში ელნათურები აციმციმდებიან. ელნათურებივე გაანათებენ გზატკეცილს ფაბრიკასა და წალენჯიხას შორის.

ფაბრიკისათვის წყალსადენის გაყვანის პროექტი შედგენილია და მალე მუშაობასაც დაიწყებენ. მახლობელ სოფელ ობუჯიდან გამოჰყავთ წყარო სკურდილას ანკარა წყალი.

შენდება კლუბი, აბანო, სკოლა, პოლიკლინიკა, საბავშვო ბაღი, ბაგა, სასადილო, მექანიკური სამრეცხაო. მუშათა და სპეციალისტთა საცხოვრებელი სახლები. ფაბრიკის ტერიტორია ციტრუსებით, ევკალიპტებით, წიწვიანი მცენარეებითა და ეგზოტიკური ყვავილებით გამწვანდება.

ყოველდღეს ათი სატვირთო მანქანა გამალებით ეზიდება ზუგდიდიდან საშენ მასალას. ფაბრიკის მშენებლობის დირექტორი ამხ. ვანო ფაჩულია ყოველგვარ ღონისძიებას მიმართავს გეგმის ვადამდე შესრულებისათვის.

— ფაბრიკა სეზონისათვის მზად იქნება — აცხადებს ის. და ეს რომ ლიტონი სიტყვა არ არის, ამის თავდებია სტახანოვური მოძრაობის ფართოდ გაშლა მშენებლობის მუშებს შორის. შრომის მაღალი ნაყოფიერებისათვის აქ ერთმანეთს ეჯიბრებიან მშენებლობის სტახანოველი მუშები გრ. ბარბულატი და კირ. ხილჩენკო, ალ. კუკუშკინი და ტ. იაროშენკო. მშენებლობის მუშაკთა კოლექტივი ენერგიულად იბრძვის ფაბრიკის ვადამდე ამუშავებისათვის.

ჩვენს თვალწინ „სასწაული" ხდება: ზღვაიაში ფაბრიკა შენდება. მის გარშემო ახალი ქალაქი—ბაღნარი გაშენდება.—მაგრამ ამ ქალაქს მატრონას ქოხი როდი დაშვენდება. გადაწყვეტილია მატრონას ცალკე მიუგონ ერთი რიგიანი ოდა.

შ. ჯიქია.

◇

ჩვენ გვწერენ

ექიმს ავიწროვებენ

(ბათომი, „კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტისაგან).

1936 წლის პირველი იანვრიდან ექიმი ი. ბოჯგუა დაინიშნა ბათომის საზღვაოსანიტარული სადგურის უფროსის მოადგილედ. სადგურის უფროსმა ამხ. გრ. კაკულიამ მისცა მას ერთი პატარა ოთახი და შეჰპირდა გვერდით მდებარე ოთახის მიცემას, ოთახის განთავისუფლებისთანავე. ექ. ბოჯგუამ ჩამოიყვანა თბილისიდან ცოლი, ოჯახის სხვა წევრები და ცხოვრობდა დროებით ამ პატარა ოთახში.

ცხრა თვე გავიდა. როგორც იქნა, მეზობელი ოთახი განთავისუფლდა, მაგრამ ექ. ბოჯგუასთვის მისი მიცემა აღარ ისურვეს.

ექ. ბოჯგუამ თვითონ დაიკავა ეს ოთახი. ასტყდა დავა. იდავეს ორ კვირას, დაიწერა მიმართვები. შესდგა ოქმები და აქტები, გამოიყო კომისიები და ბოლოს საქმე იმით დასრულდა, რომ საზღვაო სადგურის უფროსმა კაკულიამ დასწერა ბრძანება: „ვინაიდან ექ. ბოჯგუა სახელს უტეხს საბჭოთა დაწესებულებას, არღვევს დისციპლინას და 20 აგვისტოს არ გამოცხადდა გემ „საქართველოს" მისაღებად და სხვ."... მოიხსნას სამუშაოდანო.

ექ. ბოჯგუამ საქმე გაასაჩივრა. ბათომში სპეციალურად ჩამოსულმა საქ. ჯანსახკომის კომისიამ იგი გაამართლა. სადგურის უფროს კაკულიას წინადადება მიეცა აღედგინა ბოჯგუა და ემუშავნა მასთან შეთანხმებულად.

კიდევ მეტი: ჩვენ ხელთა გვაქვს ცნობები, გაცემული „ინფლოტისა" და „სოიუზტანკერფლოტის" ბათომის საგენტოებისაგან, რომ ბოჯგუა კეთილსინდისიერი ექიმია და არ ყოფილა არცერთი შემთხვევა მისი მიზეზით გემის დაგვიანებით მიღებისა. პირიქით, იგი ღამეებს ათენებდა საგენტოებში. გვაქვს აგრეთვე ბათომის ქალაქის სასამართლოს დადგენილება, სადაც ნათქვამია, რომ ექ. ბოჯგუა არამც აცდენდა საათებს, არამედ მას მთელი წლის განმავლობაში 2568 ზედმეტი საათი უმუშავნია. რაც შეეხება „საქართველოზე" გამოუცხადებლობას, დასტურდება, რომ იმავე საათში ექ. ბოჯგუა ღებულობდა უცხოეთის ერთერთ გემს.

ამის შემდეგ ზედმეტია ლაპარაკი ექიმ ბოჯგუას ცუდ მუშაობაზე. დროა ბოლო მოეღოს ექიმის შევიწროვებას!

შ. ფურცხვანიძე

○

მოუხნავი ჰექტარები. მოუვლელი პირუტყვი

1936 წელს სოფ. შილდის (გურჯაანის რაიონი) ლენინიზმის სახ. კოლმეურნეობას 320 ჰექტარზე უნდა დაეთესა ხორბალი. აქედან გურჯაანის მანქანა-ტრაქტორთა სადგურს უნდა მოეხნა და დაეთესა 216 ჰექტარი, ფაქტიურად მოხნა 135 ჰექტარი, რის გამო კოლმეურნეობას 20 დეკემბრისათვის საშემოდგომო ხვნა-თესვა დამთავრებული არ ჰქონდა, დარი კი საუკეთესო იყო, არ არსებობდა მუშაობის ხელშემშლელი მიზეზები.

უნდა ითქვას, რომ მტს-ის ბრიგადირი ამხ. იოსებ ხელაშვილი და ტრაქტორისტები ვასო იორამაშვილი და გიორგი პეტრიაშვილი ამ კოლმეურნეობაში მეტად არაკეთილსინდისიერად მუშაობდნენ. იოსებ ხელაშვილმა კოლმეურნეობის გამგეობას ქრთამად ღვინო და არაყი მოსთხოვა, მაგრამ გამგეობა, რასაკვირველია, არ დაეთანხმა. ამის შემდეგ ტრაქტორისტთა ბრიგადირს ხელაშვილს გული აუცრუვდა და ტრაქტორები ამხ. მოლოტოვის სახ. კოლმეურნეობაში გადაიყვანა. ამიტომაც იყო, რომ ლენინიზმის სახ. კოლმეურნეობა საშემოდგომო ხვნა-თესვაში ძლიერ ჩამორჩა.

კოლმეურნეობის გამწევი ძალის 60 პროცენტი დაავადებულია თურქულით. ცუდადაა დაყენებული ვეტმომსახურება. ამას წინათ ლენინიზმის სახ. კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. გიორგი კრაწაშვილმა, შენიშნა თუ არა საქონელს თურქულით დაავადება, იმ წამსვე აცნობა გურჯაანის რაიმიწგანის გამგეს ამხ. კლიმენტი დოლიძეს. დოლიძემ კი რაიონის ვეტექიმს ჩოხელს მიმართა. ჩოხელს 19 დეკემბრამდე არავითარი ზომები არ მიუღია.

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ კოლმეურნეობის გამგეობაც ნაკლებ ყურადღებას აქცევს მუშა-პირუტყვის გამოზამთრებას. ბოსლები აქვს, მაგრამ ბნელი და ნესტიანი. საქონელს ბაგის უქონლობის გამო საკვებს ძირს უყრიან და საკვების 70-80 პროცენტამდე ფეხით ითელება.

ასეთივე მდგომარეობაა ამხ. მოლოტოვის სახ. კოლმეურნეობაშიც. აქ გააფუჭეს 8 ტონა ნამჯა. გარდა ამისა, 1.000 ცენტნერზე მეტი თივა მინდვრად ყრია და ბოსლებზე 15—30 კილომეტრითაა დაშორებული.

ფილ. ზვაძაგია

სურათზე: სამეურნეო დაწესებულებათა კავშირთან არსებული მომღერალთა გუნდი.

დავალება პროკურორებს

საქართველოს რესპუბლიკის პროკურორმა ამხ. ტალახაძემ წერილობით მიმართა აჭარის, აფხაზეთის, სამხრეთ-ოსეთისა და რესპუბლიკის რაიონების პროკურორებს რათა მათ ამიერიდან განსაკუთრებული მეთვალყურეობა გაუწიონ მუშა-გამომგონებლების წინადადებათა განხორციელების საქმეს. გამომგონებლების საჩივრები პროკურორებმა უნდა გამოჰყონ პირველ რიგში გამოსაკვლევ საქმეებში, უნდა აღძრან საქმე სამეურნეო ორგანიზაციების იმ მუშაკთა მიმართ, რომლებიც გამომგონებლებისადმი ბიუროკრატიულ გულგრილობას იჩენენ და სამეურნეო ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს უშედეგოდ არ დაატოვებინონ გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა მიერ წარდგენილი არცერთი საქმიანი წინადადება.

პროკურორებს დავალებული აქვთ შეუდგნენ აგრეთვე სამეურნეო ორგანიზაციებში თავმოყრილ გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა რეალიზაციის გამოკვლევას. გამომგონებელთა წინადადებების მიფუჩეჩებისა ან მათდამი უყურადღებობისათვის დამნაშავეთ სასტიკი პასუხი უნდა მოეთხოვოთ.

◇

27,500 ათასი ცალი აგური

ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატმა დაუმტკიცა საწარმოო გეგმები რესპუბლიკური მნიშვნელობის აგურ-კრამიტის ქარხნებს — ტევრისას, ნოსირისას და ღრმა-ღელისას.

ტევრის აგურ-კრამიტის ქარხანამ წელს უნდა გამოუშვას 7 მილიონი ცალი გამომწვარი აგური და 1.500.000 ცალი კრამიტი. აღნიშნულ ქარხანასთან წელს უნდა ააგონ კრამიტის საშრობი, გაიყვანონ წყალსადენი და მოაწყონ მუშათა სასადილოს ახალი შენობა. ამ სამუშაოებისათვის გადადებულია 190.000 მანეთი.

ნოსირის ქარხანამ წელს უნდა გამოუშვას 8 მილიონი ცალი გამომწვარი აგური და 3 მილიონი ცალი კრამიტი.

ღრმა-ღელის აგურის ქარხანა კრამიტს არ გამოუშვებს. სამაგიეროდ იგი წელს ქვეყანას მისცემს 12,5 მილიონ ცალ გამომწვარ აგურს და გამოსაწვავად დაამზადებს 18 მილიონ ცალ ალიზს. ღრმა-ღელის აგურის ქარხანასთან წელს დაიწყებენ მუშათა საცხოვრებელი სახლის აგებას, გაიყვანენ წყალსადენს და მოაწყობენ ელექტროქსელს.

მომღერალთა გუნდი

სამეურნეო დაწესებულებათა კავშირთან არსებობს მომღერალთა გუნდი. გუნდის რეპერტუარშია აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ხალხური სიმღერები.

გუნდში მონაწილეობენ ადგილობრივი მრეწველობის, მსუბუქი მრეწველობისა და სოციუზრუნველყოფის სახალხო კომისარიატების მუშა-მოსამსახურეები და მათი ოჯახის წევრები, სულ 27 კაცი.

გუნდს უკვე მზადა აქვს 26 სიმღერა. ისინი სისტემატურად გამოდიან ხსენებულ დაწესებულებათა კლუბებში. ახლა გუნდი ემზადება საკავშირო პროფკავშირულ ოლიმპიადაში მონაწილეობის მისაღებად, რომელიც ახლო მომავალში მოსკოვში გაიმართება.



კოლონა ლენინის ქუჩაზე (თბილისი), აბრეშუმის საქსოვ ფაბრიკასთან.
ფოტო კადეტოვისა
(„სოიუზფოტოს" საქ. განყ.)

ახალი ამბები

● **საქართველოს სახკომსაბჭოს** დადგენილებით, განსვენებული მწერლის ეგნატე ნინოშვილის დას იაზდარ ინგოროყოვას დანიშნული აქვს პერსონალური პენსია — თვეში 250 მანეთი.

● **წელს თბილისში** იწყება რძის პროდუქტების ახალი სამზარეულოს მშენებლობა, რომელიც ზაფხულში დამთავრდება. სამზარეულოს ასაგებად გამოყოფილია მიწის ნაკვეთი საბჭოს ქუჩაზე.

● **200 — საწოლიანი** საინფექციო სნეულებათა ახალი საავადმყოფო უნდა ააგოს წელს ქალაქში თბილისის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილებამ. საავადმყოფოს აგება მინდობილი აქვს „თბილმშენს".

● **საქართველოს შემნახველ სალაროებში** იანვარში მშრომელებმა შეიტანეს 3.583 ათასი მანეთის ანაბარი.

○ **მოზრდილთა** დაუსწრებელ სწავლებაში ჩაბმულთა სესიები, რაიონებში მოეწყობა 15 თებერვლისათვის.

○ **თავდაცვაავიაქიმის** მე-11 საკავშირო ლატარიის ბილეთების რეალიზაციის ხელმძღვანელობა დავალებული აქვს შარშან გამოყოფილ თავდაცვაავიაქიმის სალატარიო კომისიებს. ახალი სალატარიო ბილეთების გასასაღებლად საჭირო წინასწარი მზადება უკვე დაწყებულია.

○ **პარტიზანელმა** ფარნა ცქვიტინიძემ (მახარაძის რაიონი) ესპანელი ფაშისტპირატების მიერ ჩაძირულ საბჭოთა თბომავალ „კომსომოლის" ნაცვლად ახალი თბომავლების ასაგებ ფონდში შეიტანა თავისი ორი კვირის ხელფასი 200 მანეთი და შეჯიბრებაში გამოიწვია მახარაძის რაიონის პასუხისმგებელი ამხანაგები.

◇

შემთხვევები

# **თაღლითობა.** გასული წლის ნოემბრის ბოლო რიცხვებში კიროვის რაიონის შემნახველი სალაროდან არტელ „რემობუვის" გამგეობის მიმდინარე ანგარიშიდან ყალბი ჩეკით მიიღეს 350 მანეთი. ამ საქმეზე გამოძიებას აწარმოებდა ქალაქის მილიციის მე-8 განყოფილება, რომელმაც თაღლითობის ჩამდენნი აღმოაჩინა. როგორც გამოირკვა, თაღლითობა ჩაიდინეს არტელ „რემობუვის" თანამშრომლებმა გ. ა. ყენიამ და ე. ი. მარტიროსოვამ. ისინი გამოტყდნენ დანაშაულში. გარდა ამისა მარტიროსოვას ბრალი ედება აგრეთვე ქურდობაში. საქმის გამოძიება დამთავრდა და საქმე გადაეცა კიროვის რაიონის სახალხო სასამართლოს.

# **უბედური შემთხვევა.** 8 თებერვალს ჩელუსკინელთა და კ. ცეტკინის ქუჩების კუთხეში მიმავალი ტრამვაის ვაგონიდან გადმოხტა მცირეწლოვანი ნ. კოლოტკოვი (ორჯონიკიძის ქ. 120) და მოჰყვა მისაბმელ ვაგონქვეშ. ვაგონის თვლებმა ბავშვს ორივე ფეხი გადასჭრა. საავადმყოფოში მიყვანისას კოლოტკოვი გარდაიცვალა.

# **ხულიგნობა.** 8 თებერვალს საღამოს ა. მ. მახარაძემ (რიყის ქ. 77), სპეციალობით შოფერმა და ვანის რაიონიდან ჩამოსულმა მისმა მეგობარმა ვ. ს. ხავთასიმ, რომლებიც მთვრალები იყვნენ, კალიაევის ქუჩაზე დებოში ასტეხეს. როდესაც ხულიგნებთან მივიდა საგუშაგოზე მდგომი მილიციელი, მახარაძე და ხავთასი თავს დაესხნენ მას და შეეცადნენ იარაღი წაერთმიათ. ხულიგნები დააპატიმრეს და სამართალში აძლევენ.

პუშკინი საბჭოთა კავშირის ხალხთა ენებზე

დიდი რუსი პოეტის ალექსანდრე პუშკინის გარდაცვალებიდან 100 წლისთავის შესრულებასთან დაკავშირებით, ალ. პუშკინის ნაწარმოებნი გადათარგმნილია საბჭოთა კავშირის ხალხთა 60-მდე ენაზე.

მათ შორის ცალკე წიგნებადაა გამოცემული მარიულ ენაზე „ალი" და „მოცარტი და სალიერი", ჩუვაშურზე — „ძუნწი რაინდი", ტაჯიკურზე — „კაპიტნის ქალიშვილი", მოლდავურზე — „კირჯალი", ებრაულზე — „დუბროვსკი", ჩერქეზულზე — „ბელკინის მოთხრობები", ყაზახურზე — „ბოშები" და „კავკასიის ტყვე", ასირულზე — „სადგურის ზედამხედველი", ბოშურზე — „ბოშები", „კაპიტნის ქალიშვილი" და „დუბროვსკი", ლეკურზე — „ზღაპრები" და „რჩეული ლექსები", მორდვულზე — „დუბროვსკი", აფხაზურზე — „კაპიტნის ქალიშვილი" და სხვ.

პუშკინის ნაწარმოებნი თარგმნილია აგრეთვე ისეთ ენებზე, რომელთაც ოქტომბრის რევოლუციამდე არ ჰქონიათ საკუთარი დამწერლობა: ასეთებია: ევენკური, კორიეული, ოსტიაკური, ნენეცური, გილიაკური და სხვ.

ყველა დასახელებული თარგმანი ინახება საქ. საჯარო ბიბლიოთეკის ნაცუმცირესობათა განყოფილებაში.

ნეკროლოგი

სანდრო ყალაბეგიშვილი

გარდაიცვალა ჯერ კიდევ ჯანღონით სავსე სანდრო ყალაბეგიშვილი. მისმა მოულოდნელმა სიკვდილმა თავზარი დასცა მის ახლო მეგობრებსა და ამხანაგებს. 30 წელიწადია, რაც სანდრო მოღვაწეობდა ქართულ თეატრში. მის მუშაობას მუდამ ახასიათებდა საქმისადმი გულწრფელი მიდგომა და უდიდესი სიყვარული.

თავისი სასცენო მოღვაწეობის მანძილზე სანდრო ყალაბეგიშვილს მრავალი პასუხსაგები როლი უთამაშნია. სანდრო იყო მეტად გულწრფელი. მგრძნობიარე ამხანაგი და მეგობარი, ხალისიანი მოსაუბრე, ქართული თეატრის დიდი ენტუზიასტი.

მშვიდობით, ამხანაგო სანდრო, შენი სახელი დაუვიწყარი იქნება შენს მეგობართა შორის.

ელისაბედ ჩერქეზიშვილი, ნიკო გოცირიძე, ტასო აბაშიძე, დოდო ანთაძე, შაქრო გომელაური, დავით ჩხეიძე, შალვა ღამბაშიძე, შალვა ჯაფარიძე, მიხეილ ლორთქიფანიძე, ალექსანდრე ჟორჟოლიანი, ჰიჰიკო გელეიშვილი, მიხეილ სარაული.

◇

პარკი საბჭოს ქუჩაზე

თბილისის საბჭოს პრეზიდიუმმა დადგენილება მიიღო საბჭოს ქუჩაზე ახალი პარკის გაშენების შესახებ. ეს პარკი გაშენდება გერმანელთა ყოფ. სასაფლაოზე, რომელიც დახურულია 1926 წლიდან.

პარკის მშენებლობა დაიწყება გაზაფხულიდან. გაშენებას უხელმძღვანელებს გამწვანების სამუშაოთა ტრესტი.

◇ ◇

პარტკალენდარი

ლ. კეცხოველის სახელობის პროპაგანდისტისა და აგიტატორის სახლში

14 თებერვალს პროპაგანდისტთა სკოლის (ყველა ჯგუფი) მეცადინეობა. დასაწყისი საღამოს 7 საათზე.

საქ. კ.პ. (ბ) ისტორიის კაბინეტი—კონსულტაცია თემაზე: „ბოლშევიკების პარტიის მე-12 ყრილობა ორ ფრონტზე ბრძოლაში ნაციონალურ საკითხზე". ქართულ ენაზე, საღამოს 7 საათზე.

აგიტაციის კაბინეტი — კონსულტაცია თემაზე: „სოციალიზმი — კლასების მოსპობა და საბჭოთა დემოკრატიის აყვავება". საღამოს 7 საათზე.

ლენინიზმის კაბინეტი — კონსულტაცია თემაზე: „ლენინ-სტალინის მოძღვრება ერთ ქვეყანაში სრული კომუნისტური საზოგადოების აშენების შესაძლებლობის შესახებ". საღამოს 7 საათზე.

პროპაგანდის კაბინეტი — კონსულტაცია თემაზე: „პარტგანათლების წრეების მეცადინეობის მეთოდიკის შესახებ". ქართულ ენაზე. საღამოს 7 საათზე.

○

— **საქ. კ.პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის კიროვის რაიკომის პარტკაბინეტი** იტყობინება, რომ 11 თებერვალს, საღამოს 7 საათზე (რაიკომის პარტკაბინეტის შენობაში) შესდგება ჯგუფური კონსულტაცია საკითხზე: „ხალხის მოსისხლე მტრების — ტროცკისტების მიზნები და მეთოდები".

— **საქ. კ.პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის კიროვის რაიკომის პარტკაბინეტი** იტყობინება, რომ 11 თებერვალს, საღამოს 7 საათზე (რაიკომის პარტკაბინეტის შენობაში) შესდგება აგიტკოლექტივის მორიგი მეცადინეობა საკითხზე: „ხალხის მოსისხლე მტრების — ტროცკისტების მიზნები და მეთოდები". რაიონის მცირერიცხოვანი ორგანიზაციების (მაღაზიები, არტელები და სხვ.) ყველა აგიტატორის დასწრება სავალდებულოა.

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის სტალინის რაიკომი იუწყება, რომ 12 თებერვალს, დილის 10 საათზე კულტურისა და დასვენების პარკის კლუბში (პლეხანოვის პრ. № 184) გაიხსნება

VIII რაიონული პარტიული კონფერენცია

დღის წესრიგშია:

1. პარტიის რაიკომის საანგარიშო მოხსენება — მომხსენებელი ამხ. **კარანაძე.**
2. სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენება — მომხსენებელი ამხ. **გულივერდაშვილი.**
3. არჩევნები.

სტალინის რაიკომის მდივანი—ზ. კარანაძე.

დღეს, 11 თებერვალს, საღამოს სრულ 7 საათზე, მოზარდ მაყურებელთა ქართულ თეატრში (ლენინის ქ., 3), გაიხსნება საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის

ორჯონიკიძის რაიონის მე-16 პარტიული კონფერენცია.

დღის წესრიგშია:

1. რაიკომის ანგარიში (მომხსენებელი ამხ. მირცხულავა).
2. სარევიზიო კომისიის ანგარიში (მომხსენებელი ამხ. პუგაჩოვი).
3. რაიკომის და სარევიზიო კომისიის არჩევნები.

ორჯონიკიძის რაიკომის მდივანი ზ. მირცხულავა.

---

12 თებერვალს, დილის სრულ 10 საათზე, გრიბოედოვის სახელობის თეატრში (კომინტერნის ქ. 5) მოწვეულია

კიროვის რაიონის მე-2 პარტკონფერენცია

დღის წესრიგშია:

1. საქ. კ.პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის კიროვის რაიკომის საანგარიშო მოხსენება და სარევიზიო კომისიის თანამოხსენება (მომხსენებლები არიან ამხ. **ს. იუხანოვი და ახალაძე).**
2. რაიონული კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის არჩევნები.

რაიონული პარტკონფერენციის დელეგატები მანდატებს მიიღებენ რაიკომში ამხ. ბირიუკოვთან.

კიროვის რაიკომის მდივანი ა. იუხანოვი.

ლენინის ორდენოსანი რუსთაველის თეატრი

14-II	ალკაზარ
15-II	ანზორ

მარჯანიშვილის სახ. თეატრი

11-II წარ. № 102	ძალად ექიმი
12-II წარ. № 103	ნინოშვილის გურია

სახცირკი
ტელ. 3-11-44
12 თებ. 2 წარ. დღისით კიოს მონაწ.

11, 12 და 13 თებერვალს
მხოლოდ 3 დღის
იშვიათი სანახაობა
უდიდესი საბ. ატრაქციონი
კიო
და მისი 25 ასისტენტის
მისი ორი პროგრამა ერთ საღამოს.
ახალი ეკვილიბრისტები
დასაწყისი 8 ს. 30 წ.
სალარო 12-2 ს. და 5 ს-დან.

დღეს სახკინმრეწვის თეატრებში

ოქტომბერი 6-30, 8, 9-30. 11	ხმოვანი ფილმი დუბროვსკი პუშკინის მიხედვით.
დამკვრელი 6 30, 8-30, 10-3	მხატვრული ფილმი კოლეჟსკი რეგისტრატორი
კომკავში რელი 6-30, 8, 9-30, 11	მხატვრული ფილმი დეკაბრისტები
რ. ლუქსემბ. 6-30.8, 9-30, 11	დუბროვსკი
26 კომ. სახ. 6-30, 8, 9-30, 11	მხატვრული ფილმი კოლეჟსკი რეგისტრატორი
ახალი ამბები დასაწ. 6-30	ხმ. ფილმი ბახჩისარაის შადრევანი, ესპანეთის ამბები № 13

ექიმი ი. ჭეიშვილი
კანის და ვენერიული ავად.
იღებს: დილის 8—9 ს. და საღამოს 7—8 ს.
კამოს ქუჩა № 72.

1937 წ. თებერვლის 20-ს საღ. 7 საათზე, უნივერსიტეტის კლუბში შესდგება ისტორიის ფაკულტეტის

საკვალიფიკაციო კომისიის საჯარო სხდომა,

რომელზედაც ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად სადისერტაციო შრომას დაიცავს პროფ. **კ. ბაქრაძე** შემდეგ თემაზე: „სისტემა და მეთოდი ჰეგელის ფილოსოფიაში".

ოფიციალური ოპონენტები: პროფ. პ. შარია, პროფ. ივ. ბაშაყმაძე

1017 თ. ს. უნივერსიტეტი.

ორგანიზაციების, საწარმოების, ფაბქარხადგილკომების, პრესის დარგში თბილისის საწარმოთა საზოგადოებრივი რწმუნებულების და ჟურნალ-გაზეთებზე

ხელისმომწერთა საყურადღებოდ

ვინაიდან 1937 წლის თებერვალი 28 დღით არის **მარტისათვის** ხელისმოწერის მიღების **უკანასკნელ ვადად** თბილისში დაწესებულია: ცენტრალურ (მოსკოვის) ჟურნალ-გაზეთებზე 21 თებერვალი, თბილისის გაზეთებზე—24 თებერვალი.

აღნიშნულ ვადამდე ხელისმოწერა სწარმოებს „სოიუზპეჩატის" ყველა საქალაქო რაიბიუროსა და საფოსტო განყოფილებაში.

დააჩქარეთ ხელისმოწერა მარტისათვის.

ვადაზე დროულად ჩაბარებული გრძელვადიანი ხელისმოწერა უზრუნველჰყოფს ხელისმომწერთათვის გამოწერილი ჟურნალ-გაზეთების წესიერ მიწოდებას.

დროზე ჩააბარეთ ხელისმოწერა, ნუ გადასდებთ ვადის უკანასკნელ დღეებისათვის.

ხელისმოწერის ქვითრების მიღებისას შეამოწმეთ, სწორად და გასაგებად არის თუ არა აღნიშნული იქ თქვენი მისამართი, გვარი, სახელი, მამის სახელი და ხელმოწერის ვადა.

23 სოიუზპეჩატის საქართველოს განყოფილება.

სამოქ. სამ. საპროცესო კოდ. 354 მუხ. თანახმად, გორის რაიონის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი **ევ. ხალერი** ამით აცხადებს, რომ ა/წ. 14 თებერვალს, დღის 2 საათზე, ქ. გორში, ორჯონიკიძის ქ. № 64 სახლში

საჯარო ვაჭრობით გაჰყიდის

მოქ. ვასილ სტეფანეს-ძე კევლიშვილის შემდეგ ქონებას:

1 სახლს - ქვითკირის ორ სართულიან შენობას, ოთხი ოთახისაგან შემდგარს, (ორი ოთახი მაღლა სართულში, ორი—დაბლა სართულში). ქონება შეფასებულია 5.425 მანეთად და გაიყიდება კოლია ინასარიძის 5.425 მან პრეტენზიის დასაკმაყოფილებლად, თანახმად გორის რაიონის სახალხო სასამართლოს მიერ 1936 წ. 14 ნოემბერს № 1540-ით გაცემული აღმასრულებელი ფურცლისა. 16770

თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის

საკვალიფიკაციო კომისია იუწყება,

რომ მის საჯარო სხდომებზე მოხდება დისერტაციების დაცვა მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად.

I. თეორიული ჯგუფი პროფ. **ვლ. ჟღენტის** თავმჯდომარეობით, ნაშუადღევის 2 საათზე, პათოლოგ. ანატომიური ინსტიტ. აუდიტორიაში (კამოს ქ. 47):
1. 20 თებერვალს ასისტენტი ბ. კოპალეიშვილი „დედისა და ნაყოფის ურთიერთობა ზოგიერთ ხერხემლიანების ბრუნვასთან დაკავშირებით". ოფიციალური ოპონენტები პროფ. თიკანაძე და პროფ. ვარაზი.
2. 28 თებერვალს ასისტენტი შ. თოფურია „საქართველოს მთიანი ენდემიის ჩიყვის ჰისტოპათოლოგიისათვის". ოფიციალური ოპონენტები პროფ. მუხაძე და პრ.-დოცენტი ასლანიშვილი.
3. 3 მარტს პრ. დოცენტი ი. გველესიანი „მასალები ადამიანის და ზოგიერთ შინაურ ცხოველთა კოკციდიების შესასწავლად". ოფიციალური ოპონენტები პროფ. ვორონინი და პროფ. ნ. ყიფშიძე.

II. თერაპიული ჯგუფი პროფ. **კ. ცომაიას** თავმჯდომარეობით, დღის 12 საათზე, ქალაქის 1 საავადმყოფოში, შინაგან სნეულებათა კლინიკის აუდიტორიაში (წინანდლის 9):
1. 22 თებერვალს ასისტენტი ი. ცინცაძე „მასალები ელექტროკარდიოგრაფიული ცვლილებების შესახებ ზოგიერთი ინფექციური სნეულების დროს". ოფიციალური ოპონენტები პროფ მიქელაძე და პროფ. ცომაია.
2. 22 თებერვალს ასისტენტი ლ. ჟვანია „ძირითადი ცვლა ჩიყვის სნეულების დროს". ოფიციალური ოპონენტები პროფ. ს. ყიფშიძე და დოც. ქავთარაძე. ცენტრალური კლინიკური ინსტიტუტის ჰოსპიტალური თერაპიული კლინიკის აუდიტორიაში (პლეხანოვის 60):
3. 1 მარტს ასისტენტი თ. მაჩაბელი „გულის სიკვდილის დინამიკა ელექტროკარდიოგრამაში". ოფიციალური ოპონენტები პროფ. წინამძღვრიშვილი და პროფ. ვორონინი.
4. 1 მარტს ასისტენტი ვ. ანდღულაძე „შარდის აქტუალური რეაქციის (PH) ღირებულება თირკმლის ფუნქციონალურ დიაგნოსტიკაში". ოფიციალური ოპონენტები პროფ წინამძღვრიშვილი და დოც. გეგეჭკორი.
5. 5 მარტს ასისტენტი ა. რუხაძე მასალები ვეგეტატიური ნერვული სისტემის პათოლოგიისათვის". ოფიციალური ოპონენტები პროფ. ს. ყიფშიძე და დოც. ქავთარაძე.
6. 5 მარტს ასისტენტი გ. ბახტაძე „რეფლექსების მდგომარეობა და მათი დიაგნოსტიკური ღირებულება ხერხემლის დროს". ოფიციალური ოპონენტები პროფ. ს. ყიფშიძე და პრ.-დოცენტი ფოფხაძე.

III. ქირურგიული ჯგუფი პროფ. **ა. მაჭავარიანის** თავმჯდომარეობით, დღის 12 საათზე, ცენტრალური კლინიკური ინსტიტუტის ჰოსპიტალური ქირურგიული კლინიკის აუდიტორიაში (პლეხანოვის 60):
1. 21 თებერვალს ასისტენტი ს. ფანჯავიძე „დვრილისებრივი მორჩის შენების კლინიკური მნიშვნელობა ყურის დაავადებათა პათოგენეზში". ოფიციალური ოპონენტები პროფ. ასკისოვი და დოც. ხუციშვილი.
2. 21 თებერვალს ასისტენტი ა. გზირიშვილი „თირკმელის ევაკუატორული მოძრაობის მანომეტროგრაფიული კლინიკური დაკვირვებანი". ოფიციალური ოპონენტები პროფ. წულუკიძე და პროფ. თოდაძე.
3. 27 თებერვალს ასისტენტი ე. ფიფია „ღვიძლის აბსცესი და მისი მკურნალობა". ოფიციალური ოპონენტები პროფ. მუხაძე და პროფ. ერისთავი. სტომატოლოგიური საავადმყოფოს აუდიტორიაში (პლეხანოვის 126):
4. 9 მარტს ასისტენტი ი. გაგუა „კბილის საპროტეზო მასალის გავლენა ნერწყვის ზოგიერთ შემადგენელ ნაწილებზე". ოფიციალური ოპონენტები პროფ. ვარაზი და დოც. ედიბერიძე.
5. 9 მარტს ასისტენტი ა. ზუმბულიძე „ნერწყვის შემადგენლობა კბილების ქვების არსებობის პირობებში". ოფიციალური ოპონენტები პროფ. ვარაზი და დოც. ედიბერიძე.

მსურველთ შეუძლიათ შრომებს გაეცნონ ყოველდღე 2—5 საათამდე მედინსტიტუტის შენობაში სწავლულ მდივანთან.

1014 თბ. სახ. სამედიცინო ინსტიტუტის საკვალიფიკაციო კომისია.

მისამართები: რედაქციის — თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16 გამომცემლობის — რუსთაველის პროსპექტი № 34. ტელეფონები: პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილეების: 3—63—03 და 3—08—67, საქ. დივნოსი: 3—06—88. განყოფილებისა: პარტიულის—3—57—61, სასოფლო-სამეურნეო—3—73—40, მშრომელთა წერილების—3—73—24, ღამის რედაქტორის—3—26—67, გამომცემლობის—3—51—81, სტამბის დირექტორის —3—27—04. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ამხ. ს. თოდრიას სახ. სტამბა „კომუნისტი", კამოს ქ. № 68. მთავლიტის რწმუნებული ბ—8208